საკმარი მაჯები

№30 (669)
ოთხშაბათი
14 სექტემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

რამაზ საყვარელიძე:

რუსეთის დასუსტება მუსულმანურ ტალღას გააძლიერებს. ბაიდენს უნდა დაეთანხმო – ეს კატასტროფა იქნება მთელი მსოფლიოსთვის

ედიშერ გვენეტაძე:

ქვეყანა უნდა ავარიდოთ იმ ომს, რომელიც საქართველოსთვის ბოლო და უკანასკნელი იქნება

ლევან მამალაძე:

ქვეყანაში არსებული მეხუთე კოლონა საქართველოს ძირს უსინდისოდ უთხრის

ოპოზიციაა თუ ყალთაბანდების „ბრიგადა“

დედოფალი მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!

ანტირუსული ისტერია უნიჭო სცენარით

გელა ზედელაშვილი:

მტრები

დღეისათვის, ამ ადამიანების უმეტესობა „ნაციონალურ მოძრაობაში“ და სხვა რადიკალურ ოპოზიციურ პარტიებშია გადანაწილებული. მათგან ზოგიერთი ჯერჯერობით შედარებით დაბალი ჩინის აგენტები უნდა იყვნენ, თუმცა, ვხედავთ, რომ დაწინაურებისთვის ისინი მაქსიმუმს კადრულობენ

ირანი – ჩვენი მეზობელი

მეცნიერთა მტკიცებით, სიცოცხლე მხოლოდ ნახშირბადისა და მოლეკულების ნაზავია



რა კავშირია ვულკანის ამოფრქვევასა და კლიმატის ცვლილებას შორის

რეპლიკა

გასულ კვირას ხატია დეკანოიძემ ე.წ. სანქციირებისთვის გამზადებული ქართველი „ოლიგარქების“ სია გამოაქვეყნა, რომელშიც მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები შეიყვანა.

ბიძინა ივანიშვილი, ალექსანდრე ივანიშვილი, უჩა მამაცაშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, ოთარ ფარცხალაძე, ლევან ვასაძე, დავით ხიდაშელი, ირაკლი რუხაძე, გიორგი კაპანაძე, სულხან პაპაშვილი, ტატე მამაცაშვილი, ქეთევან ხარაიძე და სხვები.

გამოაქვეყნა დეკანოიძემ და თან სია უკრაინაში ბატონ ზელენსკის გადაუგზავნა.

არ ვიცით, ზელენსკი ვინ დანიშნა საქართველოს უფროსად და მასთან ერთად არახამიები და არესტოვიჩები, მაგრამ ამას არ აქვს ამ წუთას მნიშვნელობა.

მნიშვნელოვანი ისაა, „ნაცმოძრაობა“ და ხატია დეკანოიძე მხოლოდ „ქართულ ოცნებაში“ რომ ხედავენ ოლიგარქიულ ჯგუფს და 9 წელიწადი, როდესაც, ფაქტობრივად, ოლიგარქიული სისტემა ხრავდა და წურავდა საქართველოს ბიუჯეტს, ეს საერთოდ არ ახსოვთ.

ნაციონალო გოგო-ბიჭებო, როგორი მორიდებულები ხართ — ამ სიაში საკუთარი ოლიგარქების შეყვანა დაგვიწყებიათ.

სიაში ჩამოთვლილთაგან უმრავლესების სახელები და გვარები არაფერს ეუბნება ქართველ საზოგადოებას. ესენი სრულიად უცნობი ადამიანები არიან და გაუგებარია, რატომ მოხვდნენ ამ სიაში.

სია არის საეჭვოდ, ზერელედ, უპასუხისმგებლობით შედგენილი, რაც ქართული სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი საქციელია.

სხვათა შორის, ამ სიის შემდგენელი ის ხატია დეკანოიძეა, რომელმაც პირდაპირ დაადანაშაულა ქართული სახელმწიფო უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში, თითქოსდა, რაც იქ ხდება, საქართველოს ბრალი იყოს.

ასეთ რმაეზე იტყვიან ხოლმე, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო...

თუ სიებზეა ლაპარაკი, ჩვენ ჩამოვთვლით „ნაცმოძრაობის“ წევრების სიას, რომელთა ოლიგარქობა ეჭვს ნამდვილად არ იწვევს.

ეს სია ბატონი მიხეილ სააკაშვილით იწყება.

სწორედ ის არის ავტორი იმისა, რა ცოდვაც ტრიალებდა საქართველოში 2003-დან 2012 წლამდე.

ზურაბ ადეიშვილი
დავით კეზერაშვილი
ივანე მერაბიშვილი
ირაკლი ოქრუაშვილი
გრიგოლ ვაშაძე
კახა ბენდუქიძე...

სია სრულყოფილი არაა, მაგრამ ვინც „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს, საკუთარ დანაშულებებზე რატომ ხუჭავენ თვალს, მათ არ გააპარტახეს ჩვენი ქვეყანა? ნაწილ-ნაწილ არ გაყიდეს, არ გაასხვისეს, ომში არ დაკარგეს და არ დაუკანონეს რუსეთს?

ახლა ისევ ხელისუფლებაშ დაბრუნება გვინდაო.

რომ დაბრუნდნენ, იგივეს გააკეთებენ, რასაც აკეთებდნენ 9 წელიწადი, მაგრამ ძალაუფლების წყურვილით გაშმაგებულები ყველანაირი ხერხით ცდილობენ მიზანს მიაღწიონ. ამერიკას, დასავლეთს, ათასგვარ ძალას მიმართავენ, მაგრამ მათი მცდელობებიდან არაფერი გამოვა, ისინი შეიძლება გამოიყენონ, მაგრამ როცა აღარ დასჭირდებათ, განზე გასწევენ და სრულიად სხვა ძალებს შემოიყვანონ ასპარეზზე.

ასე ემართებათ სამშობლოს მოღალატეებს, ისინი არავის არ უყვარს და არც შეძლება უყვარდეს!

„საერთო გაზეთი“

ვახტანგ ხარჩილავა

და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან

ცოცხალი ოქროთ ვფარავნი იმიგრანტებსაც ჯალბაცონებსაც

თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი.
მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილევნი,
დავრდომილები მიმოდიან ირგვლივ ქვითინით —
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები,
ჩვენ გაგვექცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი.
ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები,
დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით,
გაგვექცევიან ტყეები და მდინარეები,
გაგვექცევიან ახოები, ზვრები, ყანები.
გაგვექცევიან მეზვრენი და მევენახენი,
გაგვექცევიან მეგუთნენი, დურგალ-ხარატნი
და რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით,
თავს დაგვემხობა შინაური მტრების ღალატით.
თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
თუ არ მოვიდა ჟამი — ერი ვისაც ელოდა,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან.

1997 წ.

სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ვითარება კვლავ დაიძაბა

„13 სექტემბერს, 00:05 საათზე, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა გორისის, სოტკისა და ჯერმუკის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ასევე, გამოიყენეს უპილოტო საფრენი აპარატები“, - აღნიშნულია სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სომხური დივერსიული ჯგუფები აზერბაიჯანული ბაზების დამაკავშირებელ გზებს ნაღმავდნენ. მათივე თქმით, მათ ბაზებზე სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაშქესანის, ქალბაჯარისა და ლაჩინის მიმართულებით იერიში მიიტანეს.

სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს სატელეფონო საუბარი ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, რომლის დროსაც მხარეებმა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე არსებულ ესკალაციაზე ისაუბრეს.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ დივერსიულ ოპერაციებში ჩართული სომხეთის შეიარაღებული ძალების პერსონალი და სამხედრო ტექნიკა განადგურებულია.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა სომხეთსა და აზერბაიჯანს საომარი მოქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდა. მისი თქმით, სამხედრო გზით კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია.

რუსეთის დასუსტება მუსულმანურ ტალღას გააძლიერებს. ბაიდენს უნდა დავეთანხმო – ეს კატასტროფა იქნება მთელი მსოფლიოსთვის

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, რა ბრძოლები მიდის პოლიტიკურ ველზე?

— ოპოზიცია გვარწმუნებს: ცხელი შემოდგომა გელითო. სერიოზულ ტემპერატურას, ალბათ, ვერ აწევენ, მაგრამ დისკომფორტს შეგვიქმნიან. მიზეზი მარტივია — ოპოზიციას, რევოლუციური სცენარის განხორციელების მიზნით, ქვეყანაში დესტაბილიზაცია სჭირდება. ჩემი აზრით, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იქნება გადადგმული. მაგალითად, ოპოზიცია თავს არიდებს ხელისუფლებასთან ერთად 12 პუნქტის შესრულებაზე მუშაობას, რაც მათ საშუალებას აძლევს თქვან: სიტუაცია პოლარიზებულიაო. ეს ნიშნავს, რომ 12 პუნქტიანი დავალების პირველი პუნქტი არ შესრულდება. შედეგად, საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს. ყოველივე კი, შესაძლოა, ხალხის ქუჩაში გამოსვლის საფუძველი აღმოჩნდეს. აქ ევროკავშირის მომხრეები მრავლად არიან. ასე რომ, რევოლუციური სცენარის სუნი ჰაერში შეიძლება ადვილად დატრიალდეს. ოპოზიციას სჩვევია სავარაუდო შესაძლებლობებზე საკუთარი გეგმების აგება. მათ მხარდამჭერებად უცხოელებიც ეგულებათ. კერძოდ ის ჯგუფი, ვინც ევროპარლამენტში ანტიქართული რეზოლუცია მიიღო. ერთ მიზეზს მეორე დაემატება და უფრო გაძლიერება იმის ფაქტორები, რათა კანდიდატის სტატუსი არ მოგვცენ. თანაც ხომ ხედავთ: ამ ჯგუფის აქ ყოფნით, კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა — ერთმანეთს დაუპირისპირდა ფონ კრამონი და კობახიძე, რაც პოლარიზაციის კიდევ ერთი გამოხატულებაა. ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ სიტუაცია გამძაფრდეს.

ხაზგასმა საპროტესტო აქციებზეც კეთდება. ოპოზიცია ცხელი შემოდგომის მოახლოებაში, ალბათ, სწორედ ამ ფაქტორებს გულისხმობს. თუმცა, მეეჭვება მათი მცდელობა შედეგიანი იყოს იმიტომ, რომ მაშინაც კი, როცა თბილისში ყველაზე დიდი აქცია „შინ ევროპისკენ“ მოეწყო, ოპოზიცია სცენაზე ვერ ჩნდებოდა, რადგან მათ დანახვაზე ხალხი მაშინვე იშლება და მეორედ აღარ გამოდის. ასე, რომ ოპოზიციის მიერ დაანონსებული ცხელი შემოდგომა წარმატებული ვერ იქნება, მაგრამ უსიამოვნებებს უნდა ველოდოთ.

— საპროტესტო მუხტის გაღვივებას ამერიკის საელჩოც ცდილობს — კელი დეგნანმა ახლახან საქართველოს მოქმედი ხელისუფლება არალეგიტიმურად სცნო. ეს რაზე მიუთითებს?

— 2003 წელს პოლიტიკურ ბატალიებში ჩართული ვიყავი და კარგად მახსოვს რეაქციები, რაც იმ პერიოდის ამერიკის ელჩის — მაილსის მიმართ ხდებოდა. მთავრობის წევრები აღნიშნავდნენ: ამერიკის ელჩი ოპოზიციას შევარდნაძის გადაგდებისკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პერსპექტივა არ გექნებათო. იგივეს მოუწოდებდა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. ამის შემდეგ ნჯო-ებს ვუთხარი: ასე, სინამდვილეში, რუსეთის საქმეს აკეთებთ-მეთქი. მათ მიპასუხეს: ამ ბრალდებას ვერ მივიღებთ, რადგან ამერიკის ელჩი თავად დადის და არასამთავრობოებს გვეუბნება: შევარდნაძეს თუ არ გადააგდებთ, პერსპექტივა არ გექნებათო. ეს ამერიკის გეგმა, სტრატეგია იყო. შედეგად 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ მივიღეთ. ვფიქრობ, ახლაც ანალოგიური მდგომარეობაა — ამერიკის საელჩო ისევ აქტიურობს. გამორიცხული არაა, რომ ამერიკის საელჩო ახლაც იგივე გეგმით მოქმედებდეს, როგორც მაილსის დროს, ანუ საქართველოში ხელისუფლების შეცვლით იყოს დაინტერესებული.

დასავლეთში ხელისუფალი მოსახლეობაზეა დამოკიდებული და სავარაუდოდ, მალე ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები გაჩნდება, რისი მაგალითიცაა ჩეხეთი. მსგავსი სიტუაციები შეიძლება ყველა იმ სახელმწიფოში ამოტივტივდეს, რომელიც ახლა, რუსეთთან არის დაპირისპირებული და უკრაინას ეხმარება. ამიტომ, გერმანიამ და საფრანგეთმა ზელენსკის ურჩიეს: იქნებ, მოლაპარაკებაზე გვეფიქრაო. ბაიდენსაც ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს და შეიძლება მოსახლეობის უკმაყოფილება, მისთვისაც სახიფათო აღმოჩნდეს. რუსეთი მთელ ევროპასთან სასურსათო ომსაც დაიწყებს. ამ ფონზე, გამორიცხული არაა, რუსეთის დასაწყნარებლად, დასავლეთმა კონკრეტულ ნაბიჯებზე იფიქროს. მით უმეტეს, როცა საფრანგეთმა თქვა: საქართველო ევროპა არ არის. რატომ უნდა ვიმტვრიოთ თავი ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს ცივილიზაციასთან არაფერ შუაშიაო. ფაქტობრივად, ამ ფრაზით, საფრანგეთმა რუსეთის გამგებლობაში დაგვტოვა. სწორედ ამას მოჰყვა ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის არმონიჭება და 12-პუნქტიანი გეგმის წარდგენა, რისი ანალოგიც უკრაინის მიმართაც იყო და მოლდოვისაც, მაგრამ მათ სტატუსი მიიღეს. როგორც ჩანს, ჩვენთან ურთიერთობას საფუძვლად სხვა მიზეზიც უდევს. სავარაუდოა, ამის მიზეზი რუსეთი იყოს. მოგეხსენებათ, ჩინეთმა თავისი სატრანზიტო მარშრუტები რუსეთიდან კავკასიისკენ გადმოისროლა. შესაბამისად, რუსეთი დაინტერესებულია კავკასიაში ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ ტრანზიტები ვერ განხორციელდეს და ტვირთები რუსეთს ისევ უკან დაუბრუნდეს.

გამორიცხული არ არის, დასავლეთი რუსეთის ამ ინტერესს უწევდეს ანგარიშს და სწორედ ამიტომ მიმდინარეობდეს ზეწოლები, როგორმე საქართველო ომის პროცესში ჩართონ.

— რევოლუციური მოვლენების განვითარება რას გამოიწვევს კავკასიაში?

— დავუშვათ, რევოლუციური სცენარი ამოქმედდა, მაშინ აქ ტრანზიტები აღარ გაივლის, საქართველოს ეკონომიკა დაღმართზე დაეშვება და რუსეთი საქართველოზე კონტროლს ძალიან ადვილად განახორციელებს. რუსეთი ამ კონტროლით გარკვეულ სამკუთხედს — საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანს შეკრავს, რომლის თითოეულ წევრთან მას თავის გზა და მისასვლელი აქვს. თუმცა, ცალსახად, ურთიერთობა დალაგებული არც ერთთან არ აქვს.

მაგრამ გავიხსენოთ 90-იანი წლები — საქართველოს მიმართ ინტერესი ნავთობსადენების პროექტების მერე გაჩნდა, იქამდე, საერთოდ, არ ვაინტერესებდით და თვლიდნენ: რაც საქართველოში ხდება, რუსეთის საქმეაო. ახლა, თუკი სატრანზიტო პროექტს კვლავ რუსეთი გააკონტროლებს და არა საქართველო, ჩვენს მიმართ, პრაქტიკულად, ინტერესი ჩაქრება.

ამერიკამ დაიქადნა: რუსეთს დავასუსტებთო, მაგრამ დასავლეთში ბევრი ანალიტიკოსი ხაზგასმით ამბობს: პრაქტიკული ამოცანებიდან გამომდინარე, ამერიკა რუსეთის დაშლას არ დაუშვებს. ეს მისთვის პრობლემების გამრავლება უფრო იქნება, ვიდრე მოგვარებაო.

ამერიკამ საბჭოთა კავშირის დაშლა ძლივს „გადახარშა“. რუსეთიც რომ დაიშალოს პრობლემების რაოდენობა კი არ მოიკლებს, არამედ მოიმატებს. ამიტომ ბაიდენმა თქვა: რუსეთს კი არ დავშლი, არამედ ისე დავასუსტებ, რომ აგრესია აღარ შეეძლოსო. რუსეთი მის გეგმებში ისევ რჩება, ოღონდ, როგორც სუსტი სახელმწიფო. შეგახსენებთ, რეიგანიც ამბობდა: მე, საბჭოთა კავშირისგან პატარა, ღარიბ, სუსტ კაპიტალისტურ ქვეყანას შევქმნიო. ასე, რომ რუსეთის დასუსტების იდეა ახალი არ არის. საბჭოთა კავშირმა რეიგანისგან ძალიან ძლიერი ეკონომიკური დარტყმები მიიღო, რამაც მის დაშლაში დიდი როლი ითამაშა.

— სანქციებს უკრაინა საქართველოსთან მიმართებითაც ითხოვს. არახამიამ განაცხადა: თუ ქართველებს ძალისხმევა არ გყოფნით დეოლიგარქიზაცია მოახდინოთ, ჩვენ დაგეხმარებითო. ეს რას ნიშნავს?

— არახამია აბრამოვიჩის დიდი მეგობარია, ხოლო ეს უკანასკნელი პუტინის მოლარე, რომელიც მისი ქონების დიდ ნაწილს აკონტროლებს. არახამია შუამდგომლობდა ევროპასთან, რათა ამ ქონებაზე სანქციები მოხსნილიყო. ამით, ფაქტობრივად, პუტინს მფარველობდა. ყოველივე, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ: აქაც, არახამიას ამ სულისკვეთებაში, რუსეთის გავლენა ხომ არ იკვეთება? დიახ, სწორედ იმ ქვეყნის გავლენა, ვინც ჩვენთან ომის დაწყებით არის დაინტერესებული. არახამიაც, უკრაინის ადმინისტრაციაც მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ: საქართველო ომში ჩაებას. თუმცა, ირიბად შემდეგი იკითხება: არახამიასა და უკრაინის ადმინისტრაციული ელიტის ინტერესშია საქართველოს ხელისუფლებაში „ნაციონალები“ იყვნენ და არა „ქართული ოცნება“. ეს ინტერესი გასაგებია — უკრაინის ელიტაში არაერთი ნაცია. თავად, არახამიაც საკაშვილის ფიგურაა. თუ უკრაინაში მოვ-

5 ბ3.

ქვეყანა უნდა ავარიდოთ იმ ომს, რომელიც საქართველოსთვის ბოლო და უკანასკნელი იქნება

გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:

— ბატონო ედიშერ, რა ხდება გლობალური პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე?

— მოგახსენებთ, რომ დაწყებულია მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროცესი. ეს, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალისტური ცხოვრების წესით არის განპირობებული. მოდით, ვაღიაროთ, რომ კაპიტალიზაციაა — ბრძოლა, პირდაპირ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მიდის. აღმოსავლეთის სახით წარმოდგენილია რუსეთი, დასავლეთის კი — აშშ, ევროპის სახელმწიფოები, ხოლო უკრაინა პოლიგონად არის ქცეული. ვისაც ამის აღიარება არ სურს, ან ბრმაა ან პოლიტიკური შარლატანი. შემთხვევითი როდი იყო პუტინის მიერ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ფორუმის ჩატარება, სადაც აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. განხილული იქნა მთელი რიგი საკითხები. ანალოგიური ხდება დასავლეთშიც. ფაქტობრივად, სამყაროს ორი პოლუსი დაპირისპირებულია და ბრძოლის ველად უკრაინაა გამოყენებული, სადაც ასიათასობით ადამიანი იღუპება.

მი ომების გარეშე ვერ ძლებს. ეკონომიკის არათანაბარი გადანაწილება, მსოფლიოში, მნიშვნელოვან ომებს იწვევს. დავაკვირდეთ, როგორ განვითარდა მოვლენები მას შემდეგ, რაც ახლადგარდაცვლილმა გორბაჩოვმა, თავის თანამოაზრეებთან ერთად, პოლიტიკურ ველზე ბრძოლა წმინდად წააგო და პოზიციები დათმო. ეს მოხდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში. ანუ, თითქოს, ახალი მსოფლიო წესრიგი შეიქმნა, სადაც დომინანტის როლი ერთ სახელმწიფოს ჰქონდა. ეს გახლდათ ამერიკა, რომელიც ფიქრობდა, რომ შეიქმნა ერთპოლარული სამყარო, რომლის სათავეში თავად იდგა. აღტყინება იმდენად დიდი იყო, ფუკუიამამ დაწერა „ისტორიის დასასრული, ანუ უკანასკნელი ადამიანი“, სადაც აღნიშნავდა: დასრულდა სხვადასხვა მიმდინარეობები, იდეოლოგიები, მომავალში, მხოლოდ, ლიბერალურ დემოკრატიებს ექნება გასაქანი. ანუ, მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიები იზეიმებსო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ საშინლად მცდარი თეორია იყო. ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის მერე მას უდიდესი წყლულები გაუჩნდა, რომლის მოცილება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. საუკუნეების განმავლობაში არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებას მილიონობით ადამიანი ეწირება. დღესაც, ანალოგიური სიტუაციის გარეშე ვერ ძლებს. ეკონომიკის არათანაბარი გადანაწილება, მსოფლიოში, მნიშვნელოვან ომებს იწვევს. დავაკვირდეთ, როგორ განვითარდა მოვლენები მას შემდეგ, რაც ახლადგარდაცვლილმა გორბაჩოვმა, თავის თანამოაზრეებთან ერთად, პოლიტიკურ ველზე ბრძოლა წმინდად წააგო და პოზიციები დათმო. ეს მოხდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში. ანუ, თითქოს, ახალი მსოფლიო წესრიგი შეიქმნა, სადაც დომინანტის როლი ერთ სახელმწიფოს ჰქონდა. ეს გახლდათ ამერიკა, რომელიც ფიქრობდა, რომ შეიქმნა ერთპოლარული სამყარო, რომლის სათავეში თავად იდგა. აღტყინება იმდენად დიდი იყო, ფუკუიამამ დაწერა „ისტორიის დასასრული, ანუ უკანასკნელი ადამიანი“, სადაც აღნიშნავდა: დასრულდა სხვადასხვა მიმდინარეობები, იდეოლოგიები, მომავალში, მხოლოდ, ლიბერალურ დემოკრატიებს ექნება გასაქანი. ანუ, მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიები იზეიმებსო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ საშინლად მცდარი თეორია იყო. ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის მერე მას უდიდესი წყლულები გაუჩნდა, რომლის მოცილება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. საუკუნეების განმავლობაში არათანაბარ ეკონომიკურ განვითარებას მილიონობით ადამიანი ეწირება. დღესაც, ანალოგიური სიტუაციაა — ბრძოლა, პირდაპირ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მიდის. აღმოსავლეთის სახით წარმოდგენილია რუსეთი, დასავლეთის კი — აშშ, ევროპის სახელმწიფოები, ხოლო უკრაინა პოლიგონად არის ქცეული. ვისაც ამის აღიარება არ სურს, ან ბრმაა ან პოლიტიკური შარლატანი. შემთხვევითი როდი იყო პუტინის მიერ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ფორუმის ჩატარება, სადაც აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი. განხილული იქნა მთელი რიგი საკითხები. ანალოგიური ხდება დასავლეთშიც. ფაქტობრივად, სამყაროს ორი პოლუსი დაპირისპირებულია და ბრძოლის ველად უკრაინაა გამოყენებული, სადაც ასიათასობით ადამიანი იღუპება.

გაერომ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა თუ სხვამ გამოაქვეყნა მონაცემები რამდენი უკრაინელია ომში დაღუპული? რატომ არ ხდება ამ ინფორმაციის გასაჯაროება, მით უმეტეს, დემოკრატიულ სამყაროში, რაშია საქმე?! მეორე საკითხია ის, რომ ომი ცალკეული ადამიანების გამდიდრების საშუალებაა. მდიდრდებიან იარაღის მწარმოებელი ფირმები, მსხვილი კაპიტალისტები, თაღლითები და პოლიტიკური ავანტიურისტები. ამის ერთ-ერთი მაგალითია უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ცნობები. პოლიტიკურმა თაღლითმა და ავანტიურისტმა ვინმე არახამიამ და სააკაშვილის დაქალმა იულია ტიმოშენკომ, თურმე, ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც მთელი მსოფლიოს ხალხები თავიანთთვის იკლებენ და უკრაინელებს უგზავნიან, მიითვისეს და ჰყიდიან. ომი ყველაფერს ჩამოწერს — ამ პრინციპით მოქმედებენ ეს შარლატანები.

— არახამია დაჟინებით ითხოვს საქართველოსთვის სანქციების დაწესებას...

— დიახ, 24 თებერვლიდან დღემდე, აშკარად, ჩანს, რომ ჩვენი ხელისუფლების მიმართ არნახული ზეწოლა ხდება, რათა საქართველო ამ ომში ჩართონ. არახამიას არც ჩვენი ოპოზიცია ჩამოუვარდება. ოდიოზურმა ფიგურამ, როგორც ქალბატონი წულუკიანი უწოდებს, ხატიასებრთა ოჯახის წარმომადგენელმა, დეკანოიძემ განაცხადა: უკრაინას უსაფრთხოების რკალი უნდა შემოვარტყათო. იგი პოლიტიკური ბრიყვია და ამიტომაც გაამხილა ის ზრახვები, რაც დასავლეთის უბნელეს ძალებს საქართველოს მიმართ აქვთ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთში არიან ნათელი ძალებიც, რომლებიც სულ მალე უკრაინაში მიმდინარე ომის წინააღმდეგ გამოსვლას დაიწყებენ. გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, 1968 წელს მომხდარი პრაღის გაზაფხული. პრაღელები მიხვდნენ, რა საფრთხეც ემუქრებოდათ და 70 ათასამდე ადამიანი ომის წინააღმდეგ გამოვიდა. ზამთარში ეს პრობლემა უფრო თვალსაჩინო გახდება. იმიტომ, რომ დემოკრატიულ სამყაროს ადამიანებს, რომლებიც პროგრესულად აზროვნებენ, ერთმანეთის ჟლეტა არასდროს უნდათ. ეს სურს ერთ მუჭა ხალხს, რომლებიც მოწოდებულნი არიან, სხვების სისხლისა და ცრემლის ფასად ძალიან დიდი სიმდიდრე მიიღონ. გარკვეულმა ძალებმა, რომლებიც ამ ომს ორგანიზებას უწევენ, საშინელება გააკეთეს, რასაც ორი მართლმადიდებელი ერის გადაკიდება ჰქვია. მეტიც, თავად მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. უფრო მეტიც, ძმებს ერთმანეთს ახოცინებენ და ამით ხარობენ. ეს ყოვლად ანომალური მოვლენაა. აქვე, მინდა ვისარგებლო და უდიდესი მადლობა გადავუხადო საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, პირადად, ირაკლი ღარიბაშვილს, რომლის უდიდესი დამსახურებაა, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო. ქვეყანა უნდა ავარიდოთ იმ ომს, რომელიც საქართველოსთვის ბოლო და უკანასკნელი იქნება. დიახ, ღმერთმა ნუ ჰქნას და ეს თუ მოხდა, ჩვენი ქვეყანა გადაშენდება. საქართველოზე ზეწოლის მოხდენის მიზნით, საქართველოში დასავლეთის უბნელესი ძალები ჩამოვიდნენ და კონფერენციების ქოლგის ქვეშ სიტუაციის არევას ცდილობენ. ეს ადამიანები და მათი აქაური რუპორები: ბოკერიები, გაუგებარი პოლიტიკური წარმოშობის ვაშაძეები, თაკო პოეტოვნები, სხვა პოლიტიკური ნაგავ-ნაყარ-ნუყარები ყველანაირად ცდილობენ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის რუკიდან წაშლას.

საბედნიეროდ, „ქართული ოცნებიდან“ გამოყოფილმა ოთხეულმა ხალხს სიმართლე უთხრა. კერძოდ, ის, რომ ქვეყანა ნომრიანი, დაფინანსებული აგენტებით არის სავსე, რომლებიც ძალიან საშიშნი არიან ქართველი ხალხისთვის, მისი ისტორიისთვის, აწმყოსა და მომავლისთვის. ოთხეული ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას მოუწოდებს: ჩვენი სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულება შეცვალოს და ისე მოგვეპყრან, როგორც თანასწორს.

— კონფერენცია „დიდება უკრაინას“ ახსენეთ...

— დიახ, ეს იყო კონფერენცია, არა „დიდება უკრაინას“, არამედ „ძირს საქართველოს ხელისუფლება“. აი, ეს იყო მათთვის მთავარი. არავითარი დიდება უკრაინას. ასე რომ ყოფილიყო, ამ კონფერენციას უკრაინაში ჩაატარებდნენ. დიახ, მათი მთავარი მიზანი საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი გზით ჩამოშორებაა, რაც არაერთხელ გაუჟღერებიათ. იცით, რა მაინტერესებს, რატომ ვუწოდებთ ამ ქვეყნების წარმომადგენლებს მეგობრებს?! ქვეყნის არევის სურვილი მეგობრობაა?! გახსოვთ, კრამერი ბაკურიანში ბოკერიებს, გიგაურებს და ა.შ. ტრენინგებს რომ უტარებდა, პირდაპირ, ამბობდა: საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება — რევოლუცია უნდა მოხდესო. ამის მერე ამერიკა მეგობრად როგორ უნდა ჩავთვალოთ?! საქართველოს წარმომადგენელი კრამერის ქვეყანაში რომ ჩასულიყო და სახელმწიფოს გადატრიალების

შესახებ ტრენინგები ჩაეტარებინა, როგორ ჭკუაზე დადგებოდა იქაური ხელისუფლება?! ეს ხალხი, აქ, კონფერენციის მოსაწყობად ტყუილად არ ჩამოსულა. ჩემი აზრით, ეს პოლიტიკური შარლატანის, ავანტურისტ სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნას უკავშირდება. ამ ლაჩარს ისე ეშინია, კლინიკაშია გამოკეტილი. ვინმე ფიქრობს, რომ იგი თავისი ინიციატივით ჩამოვიდა?! სააკაშვილი „ტუალეტში“ ვერ წავა დაცვის გარეშე.

იგი აქ დასავლეთის ბნელმა ძალებმა გამოგზავნეს. წარმოიდგინეთ, როგორც ჩაფიქრებული იყო — სააკაშვილი გადატრიალების გზით ხელისუფლებაში რომ მოსულიყო, რა მოხდებოდა? — საქართველო, დღეს, მიწასთან იქნებოდა გასწორებული. 24-ში თუ არა 26 თებერვალს მაინც, ჩვენი ქვეყანა ომში იქნებოდა ჩართული. დიახ, სწორედ ამიტომ გამოგზავნეს იგი. იმიტომაც

იკლავს ფოტიგა თავს: სააკაშვილს შემახვედრეთო.

ჩვენი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი საკუთარ პრინციპებს და პოზიციებს მყარად იცავს.

ღარიბაშვილი უძნელეს გზას გადის, როდესაც შიდა თუ გარე ბნელი ძალებისგან ზეწოლის მოგერიება უწევს. მათ სურთ საქართველო პოლიგონად გადააქციონ.

— ოპოზიციამ სექტემბრიდან საყოველთაო დაუმორჩილებლობა დააანონსა. „ვარდების რევოლუცია“ უკვე მოაწყვეს, ახლა რისი რევოლუციისთვის ემზადებიან?

— ახლა, „ვარდების რევოლუციიდან“ „კვერცხების რევოლუციაზე“ გადავლენ. გარევოლუციონერებული, „ქართული ოცნების“ ყოფილი მინისტრი ბუკა პეტრიაშვილი, რომელმაც ცოლთან ერთად „ცოლ-ქმარვიზია“ ჩამოაყალიბეს, რევოლუციით გვემუქრება. მათ, ალბათ, პარლამენტის წინ გოდრით კვერცხებს მოატანინებენ და იმას გააკეთებენ, რაც ჯერ არავის გაუკეთებია — ბუკა კვერცხებს აიღებს და სათითაოდ ფეხებით დაამტვრევს. სხვა, რისი გამკეთებლები არიან ეს ფარჩაკები? ისინი ხომ საქართველოს მტრები, მოღალატეები გახლავან. რა დროს რევოლუციაზე საუბარია, როცა მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს. ეს წმინდა წყლის მოღალატეები, შადიმანები, ყორღანაშვილები და სხვები მოწოდებულნი არიან ერთადერთი მიზნისთვის — როგორმე ქვეყანა დააქციონ და გაანადგურონ.

შემთხვევით არ ამბობდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია: ქართველებში ერთგულებს მუდამ ორგულები სჭარბობდნენ, მაგრამ ქვეყნის ჭირ-ვარამი ერთგულების კისერზე გადადიოდაო.

ასე არის ახლაც და მომავალშიც ასე იქნება. მოღალატეებმა ერთი რამ გაითვალისწინონ — ისტორია არავის არაფერს პატიობს. იცით, რა დაწერა მემატიანემ მოღალატე ყორღანაშვილზე? — სამშობლოს ერთგულმა საჩინო ბარათაშვილმა იგი კლდიდან რომ გადაჩეხა, მისი გვამი ისე ეგდო და ლპებოდა, რომ მგლებიც კი არ მიეკარნენ და თუ მიეკარებოდნენ, ყმუილით უკან გარბოდნენო. დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტი ქართველები გაცილებით მეტნი ვართ, ვიდრე ავაზაკი და მოღალატე ნაცები და მათი მხარდამჭერები, რომელთაც ისტორია ისეთივე ბედს უმზადებს, როგორიც ყორღანაშვილებს და სხვა მოღალატეებს ერგოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რუსეთის დასუსტება მუსულმანურ ტალღას გააძლიერებს

3 გვ.

ლენები ისე განვითარდება, რომ ამ ადამიანებს პარტნიორი ან საქართველოში წამოსვლა დასჭირდებათ, რა თქმა უნდა, მათთვის ნაცების ხელისუფლებაში ყოფნა ხელსაყრელია.

— სახალხო დამცველის არჩევაზე დიდი ვნებათაღელვაა. ვის ვირჩევთ — პარტიების თუ ხალხის დამცველს?

— „ნაცმოძრაობა“ ყველა შესაძლებლობას სათავისოდ იყენებს. ისინი ცდილობენ პარტიების დამცველი ჰყავდეთ, ხალხის დაცვა მათ ინტერესებში არ შედის. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნისთვის, პარტიული ინტერესებით არჩეული სახალხო დამცველი, მისაღებიც არის. მინდა ერთი რამ მკაფიოდ გავაცნობიეროთ: არც ერთი ქვეყნის საელჩო არ მოქმედებს ისე, როგორც ამერიკის. აქ არსებული საელჩოები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში არ ერევიან, მას არ განიხილავენ, არ აფასებენ. დიპლომატიური სტანდარტია, რომ ელჩი ქვეყნის ცხოვრებაში არ უნდა ჩაერიოს. ერთ-ერთი გამონაკლისია აშშ-ს საელჩო. როცა ვამბობ: დასავლეთი ჩვენს საქმეში ერევა, დასავლეთს ასე უნდა, ვგულისხმობ, ამერიკის საელჩოს და არა მთელ დასავლეთს.

— ჩვენთან, დასავლური ღირებულებები ყოველგვარი რუსულის დაგმობად აღიქმება. რა არის ამის მიზეზი?

— არ ვიცი, ეს დასავლეთის ინტერესებში არის თუ არა, იმიტომ რომ, მტრის ხატად რუსეთის ხაზგასმის, რადიკალური ანტირუსული განწყობილებების ერთ-ერთი ავტორი ელენე ხოშტარიაა, რომელიც ხელფასს რუსეთიდან იღებს. ამიტომ ჩნდება კითხვა: მისი ანტირუსული პოზიცია რეალურია თუ ესეც პოლიტიკური თამაშია. ორიოდე დღის წინ პუტინმა განაცხადა: ჩემი მოქალაქეების ინტერესებს ყველგან დავიცავ, მათ შორის, საქართველოშიცო. ეს საკმაოდ ნაცნობი ფორმულაა. ამ ფორმულით შემოვიდა ჩვენთან რუსეთი — ოსებს და აფხაზებს ჯერ მოქალაქეობის საბუთები დაურიგა და მერე, მათ

დასაცავად, ჯარი შემოიყვანა. ახლა ისევ გაჟღერდა, რომ რუსეთი მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვას აპირებს იმ ფონზე, როცა საქართველოში ანტირუსული კამპანია გამწვავდა. ხომ არ არის ეს გამწვავება სპეციალურად გაკეთებული, რათა რუსეთს საბაბი მიეცეს საქართველოს მიმართულებით ძალისმიერი ნაბიჯი გადადგას. დიახ, საინტერესოა, ამ შემთხვევაში, ისევ დესტაბილიზაციისკენ მიმავალ პროცესს ხომ არ აქვს ადგილი.

— ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთი უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე?

— ჩნდება კითხვა: რამდენ ხანს აიტანს რუსეთის მოსახლეობა უკრაინის მიმართ პუტინის აგრესიულ გაჯიუტებას, რაც ორივე მხარისთვის, მათ შორის, მსოფლიოსთვისაც წამგებიანია. რუსეთში პროცესები შეიძლება გამწვავდეს არამხოლოდ ამ კუთხით, არამედ სხვა მხრივაც. კერძოდ, კადიროვი გადადგომას აპირებს, მიზეზი ერთ-ერთი ვერსიით შემდეგია: რუსეთმა აკრძალა ყურანის შემდეგ რანგით მეორე, მუსულმანების ერთ-ერთი წმინდა წიგნი, რაზედაც მუსულმანებს მძაფრი რეაქცია აქვთ. კადიროვმა განაცხადა: თუ ამ გადაწყვეტილებას ბოლომდე მიიყვანთ, მაშინ მე, გადავდგები და სათავეში მუსულმანების მოძრაობას ჩავუდგებიო. ეს სერიოზული პრობლემაა. მართლმადიდებლური რუსეთი რიცხობრივად იმდენი არ არის როგორც მუსულმანური, რაც შეიძლება ძალიან ძლიერი ძალა აღმოჩნდეს. ერთი რამ ნუ დაგვავიწყდება: თავის დროზე, საბჭოთა კავშირი, ნაწილობრივ, იმის გამო დაიშალა, რომ იქ, მუსულმანების რიცხვი ძლიერდებოდა. იქმნება ისტორიული პრეცედენტი — მუსულმანებმა ამხელა სისტემა — საბჭოთა კავშირი დაანგრიეს. გამორიცხული არაა, მათ, რუსეთის შერყევაც დააპირონ.

— მუსულმანური რკალის გაძლიერება ახსენეთ. ეს, ჩვენთვის რამდენად საფრთხის შემცველია და თუ ეს პროცესი დაიწყო, ჩვენც ხომ მუსულმანურ ალყაში აღმოვჩნდებით?

— რუსეთის დასუსტება, რა თქმა უნდა, თავად ფედერაციაში მუსულმანური ტალღის წამოწევას განაპირობებს. რუსეთის მუსულმანობა სამხრეთით, ჩრდილო-კავკასიას ეყრდნობა. საქართველო ისტორიული პრობლემების წინაშე დადგება. ჩრდილო-კავკასიის პრობლემებმა, თავის დროზე, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა, ვგულისხმობ, ლეკიანობას. ახლა, ამ მოვლენებს ასეთი სახე არ ექნება, თუმცა, შეიძლება უარესიც მოხდეს, თუკი მუსულმანური ტალღა რუსეთიდან ამოძრავდება და სამხრეთისკენ დაიძვრება. როგორც აღვნიშნე: სამხრეთით საყრდენი ჩრდილო-კავკასიაა, რაც ჩვენთვის სერიოზული პრობლემაა. ამ თვალსაზრისით, ბაიდენს უნდა დავეთანხმო: ამ ტიპის კატასტროფული პროცესები მარტო ჩვენთვის კი არა, არამედ მთელი მსოფლიოსთვის შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს იმიტომ, რომ ის მუსულმანური თაობა, სავარაუდოდ, აგრესიული პანისლამური პროცესებისგან იზოლირებული არ იქნება და ეს ყველასთვის დიდი რისკის შემცველია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მეჩრეები

გინდათ, მეგობრებო, ახალი ამბები მოგიყვეთ?

არა, პრინციპში, აქ ახალიც არაფერია, მაგრამ მე შემიძლია, ფაქტები მოგაწოდოთ ახლებურად... აი, მაგალითად, გეტყვით, რას საქმიანობს ამჟამად ჰელენ (ლაკა) გოგიევიჩი, რომელიც, სხვათა შორის, ბოლო დროს ზომაზე მეტად გასუქდა. რაღა დაგიმალოთ და ბევრმა ალკოჰოლმა იცის ხოლმე ეგეთი ჩატროყება.

სიტყვა „ჩატროყება“-ს ქიზიყში ხმარობენ ხოლმე ხშირად და ნიშნავს ჩასუქებას. ვიიიიშ... რუსეთიდან წელიწადში 150 ათასი დოლარი და რამდენიმე მილიონი რუბლი რომ ჩაგერიცხება, დარდი რომ არაფრისა გექნება და მარტო „ცილისწამებების“ გამომგონებლობაზე რომ იფიქრებ, ჩატროყდები, მა რა იქნება?!

ჰო, ეგ არი ჰელენ გოგიევიჩი, საიქიოდან „ჩერეზ“ რუსეთი კაი მაყუთს რომ იღებს და თან იძახის, ეგ ის არ არი, თქვენ რომ გგონიათ, სოლიკო ვირსალაძის ნამუშევარი მოგვდის ოკუპანტების თეატრებიდანო. მა რა ვქნათ, ეგ ფული რომ არ ავიღოთ, რუსები ტანკს იყიდიან, უკრაინას მიადგებიან და ესვრიანო. ახლა ამ ფულს რომ ვიღებთ, რამდენიმე კურდღელსა ვკლაამთ - ჯერ ხო რუსეთს ვაღატაკებთ, მერე სამხედრო თვალსაზრისით ვასუსტებთ და ბოლოს, ჩვენი ჭკვიანური ქმედებებით ამ ჩათლახურ იმპერიას მალე დავშლითო.

შლიან ეგა და მამამისი იმპერიას, ჯერ ფულებს იღებენ და მერე შლიან.

ალბათ გახსოვთ, მამამისი გოგია ზვიად გამსახურდიას მთავრობაში იყო, საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა „უმფროსად“ და როცა დაინახეს, ამ „უმფროსობას“ ათასნაირი ჩათლახობისთვის იყენებდა, გამოაბუნძულეს.

რათ გამომაბუნძულეთო? — იუკადრისა ყოფილმა „საგარეომ“ და ზვიად გამსახურდიას მტრად მოეკიდა, თანაც ისეთ მტრად, მისი ცოცხლად გაშვებაც რომ დაენანა - არიან მოწმეები, როგორ ღრიალებდა ტელევიზიის შენობაში, ზვიადი ცოცხალი რატომ გაუშვითო?!

ჰოდა... ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ახლა ამ ჩათლახის შვილი ჰელენი (ლაკა) და წერს სიას, ვის უნდა დაუწესონ შეერთებულმა შტატებმა და ევროპიელებმა საქართველოში სანქციები.

აბა, კაცო, ამას ადგენენ ლაკა, ტრაკა, ღნაკა, წნაკა, ზნაკა...

კიდევ ისა, მიხეილ სააკაშვილის ძმის ცოლი რო იყო და მერე რატომღაც უკრაინის ეროვნული პოლიციის „უმფროსად“ დანიშნეს (საცოდავი უკრაინა, რა სჭირდა სამგისო?!). რამდენიმე თვეში ესეც გამოაბუნძულეს, მარტო თანამდებობაზე დანიშვნა არაფერს ნიშნავს — ხელს განათლება, შეგნება და გონებრივი შესაძლებლობაც უნდა გიწყობდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოაბუნძულეს, მაინც არ ჩერდება, კვლავაც მავნებლურ საქმიანობას ეწევა - ხან უკრაინიდან, ხან აქედან, ადგილობრივი ტრამპლინიდან. ახლაც დამჯდარა, ამასაც სია ჩამოუწერია, ვინ უნდა „დასანქციირდეს“ საქართველოში და გაუგზავნია უკრაინაში ვინმე დავით არახამიასთან (დევიდ ბრაუნთან).

რაღა დაგიმალოთ და... ეს ტიპი, რომელიც ათასნაირ თაღლითობაშია შეჭრილი და ერთხელ სისხლის სამართლის საქმეც აღუძრეს, ბიძინა ივანიშვილს ემუქრება, შენ და შენი გარემოცვა უნდა „დაგასანქციროთო“.

გონებრივი თვალსაზრისით, ვინმე არახამია, რომელიც, სინამდვილეში, ატრაწუნოვია, თვით ჰელენ გოგიევიჩზე უსუსურად გამოიყურება.

მართალია, ის უკრაინის რადაში ზელენსკის პარტია „ხალხის მსახურის“ ე.წ. ლიდერია, მაგრამ გამჩენ-გამკეთებელს სახეზე დაუწერია, პირწავარდნილი თაღლითი გახლავართო. არავითარი განათლება და შეგნება არ გააჩნია, ერთი ჩვეულებრივი დიჯეი გახლდათ, ხალხს ართობდა და ამჟამადაც ამავე საქმიანობას განაგრძობს.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ლაკამ და ტრაკამ სია გადაუგზავნეს, ეს სია თავის საიტზე განათავსა და იცით, ქართველი ბიზნესმენების „დასანქცირებისთვის“ მოწმეებად ვინ მიუთითა? ერთი ისა... წარბები რომ აქვს გადაბმული, „ნაციონალი“ გიორგი კანდელაკი და მეორე ხატია დეკანოიძე. ესე იგი, ვინმე არახამია, რომელიც რუსულ ენაზე გვემუქრება და თან რუსეთს ებრძვის, კანდელაკისა და დეკანოიძის ჩვენებების თანახმად აპირებს შემდეგი ადამიანების „დასანქცირებას“: ბიძინა ივანიშვილი, ალექსანდრე ივანიშვილი, უჩა მამაცაშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, ოთარ ფარცხალაძე, ლევან ვასაძე, დავით ხიდაშელი, ირაკლი რუხაძე, გიორგი კაპანაძე, სულხან პაპაშვილი, ტატე მამაცაშვილი, ქეთევან ხარაიძე.

კაცო, ეს ივანიშვილები გასაგებია, ამათი ძვალი ბევრს ყელზე ადგას და იხრჩობა, მაგრამ ვასაძე, პაპაშვილი, ხარაიძე, ხიდაშელი და სხვები რა შუაში არიან? გადაირევით... იცით, გონებაშეზღუდულ არახამიასა, ანუ ატრაწუნოვს მიზეზად რა უწერია? თურმე ესენიც იცნობენ პუტინთან დაახლოებულ ბიზნესმენს ვლადიმირ ევტუშენკოვს. განა კონკრეტულად რამე დააშავეს? არა, საამისო ფაქტები არ არსებობს (რომც არსებობდეს, არახამიას ვინ ეკითხება?!), მაგრამ ამათ სანქციები იმიტომ უნდა დაეკისროთ, რომ ევტუშენკოვს იცნობენ, ზოგი არ იცნობს, მაგრამ მისი გვარ-სახელი გაუგონია.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ამას წინებზე უკრაინაში შექმნეს ანტიკორუფციული ბიურო და სწორედ ამ ბიუროს საშუალებით მანიპულირებს ბატონი ატრაწუნოვი, ეს ორგანიზაცია აშშ-ელებისა და ევროპიელების მიერ არის შექმნილიო. ვის მიერაც არ უნდა იყოს შექმნილ-ჩამოყალიბებული, უკრაინულ კანტორას საქართველოში რა ესაქმება? არც არაფერი ესაქმება, მაგრამ აქედან რომ მეორე ფრონტი გახსნას ითხოვენ, განა ეს ჯდება რაიმე სახის დიპლომატიასა თუ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში? ესენი, ეს დუპლეტები იმიტომ აძლევენ კრეტინ თავებს ამდენის უფლებას, რომ იქიდან, ანუ ზემოდან (აშშ-დან და ევროპარლამენტიდან) აქვთ მითითება, რუსეთთან საომრად ერთი უკრაინა არ კმარა, კიდევ მეორეა საჭირო, საქართველოს ხარჯზე მთელი კავკასია უნდა აბუნტდეს. აი, ამიტომ არიან ხოშტარიები, კანდელაკები, დეკანოიძეები, ვაშაძეები და სხვა აგენტები გონორზე, ამიტომ იხევიან ნაკერავზე. საცოდავი უკრაინა, განა რა დააშავა ამისთანა, განა რა შეცდომა დაუშვა უკრაინელმა ხალხმა, რომ ერთი ნორმალური უკრაინელი არ ჰყავთ ხელისუფლებაში? ამხელა სახელმწიფოში ჭკუას არახამიებს, არესტოვიჩებსა და ამათნაირებს რომ ეკითხებიან, ძალა და უფლება რომ ამათ ხელშია, ეს არ არის ანომალიური მოვლენა? ან კი ვინ არის ეს მასხარა ვოლოდიმირ ზელენსკი? ტიპს თავისსავე ტერიტორიაზე აუძლურებენ, აფარჩაკებენ, აბითურებენ და მაინც იძახის, ვიმარჯვებთო... აგერ, თითქმის გავიმარჯვეთო... რუსები ვერ ბედავენ, თორემ გაქცევა უნდათო. ეს ადამიანი, რომელსაც მალე ყვერებით ჩამოჰკიდებენ, რა სიზმარსაც ღამით ნახულობს, დილით იმავე სიზმარსა ჰყვება და აშშ-დან მიღებულ დირექტივებსაც ამატებს.

წინა კვირაში საქართველოს დედაქალაქს ევროპარლამენტართა და ყავლგასულ დიპლომატთა ერთი წყება ესტუმრა. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ კუდები „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ელემენტებთან და არასამთავრობოების გამოთაყვანებულ წარმომადგენლებთან გადააბეს. მეტიც, ამ ამორტიზებული პოლიტიკოსების სტუმრიანობა ისეთი სასაცილო აღმოჩნდა, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი რომ აპირებდა მაგათ კონფერენციაზე მისვლას, იმანაც კი უარი თქვა. კახა კალაძემ კი ზუსტად დაადო იარლიყი - ეგენი ჩვენი ქვეყნის მტრები არიანო.

იცით, რა დაარქვეს კონფერენციას? — „დიდება უკრაინას“!

კი, მაგრამ, თუ უკრაინულ დიდებაზე ატარებ თავყრილობას, წადი კიევში, ჩადი სარდაფში და ჩააატარე კრება, თუ რატომ და რისთვის იბომბება ამხელა ქვეყანა.

ირაკლი კობახიძის თქმით, ეს იყო მაკკეინის კონფერენცია — თუ ვინმე აღვივებს პოლარიზაციას, ყველა იქ ივჯდაო.

არ დაივჯერებთ. ამათ, ამ ჩამოსულებმა, დაპატიჟეს და მეორე რიგში ამაყად დასვეს ლიბანელი თაღლითი ფადი ასლი.

და მართლაც, ეს ყველაფერი არ არის სახარხარო?

ჩამოვიდნენ, დასხდნენ, ბანანების გამყიდველ ლიბანელს დაუძახეს და იმას ელაპარაკებიან, უნდა მიიღონ თუ არა საქართველო ევროკავშირში შესვლის კანდიდატად. გაიგონეთ? ამ თემაზე ელაპარაკებიან ვინმე ფადი ასლის... და არა ირაკლი კობახიძეს, კახა კალაძეს, შალვა პაპუაშვილს ან ირაკლი ღარიბაშვილს!

არა, ვიოლა ფონ კრამონმა ისიც კი იკადრა, ირაკლი კობახიძისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა: „ღმერთო ჩემო, როცა ფიქრობ, რომ ამაზე ქვემოთ აღარ დაეშვება, ის უფრო დაბლა ეშვება - საწყალი საქართველო“!

ამ ქალს ცოტა კახურად უნდა გავუფორმო:

შორიდან თითქოს არაუჭირს... შეხედავ, შეიძლება სიმპატიურადაც კი მოგეჩვენოს, მაგრამ...

რაღა მაგრამ?!

ტვინი აქ დაჭყლეტილი ყურძნივით!

რა საწყალი საქართველო, რი საცოდავი საქართველო, შე თვითონ საწყალო, საცოდავო, ჩვენ პლინტუსებზე დაბლა დაშვებულო და დაუბანელი ფეხებით დაჭყლეტილო, შენა!

ჰმ... საწყალი საქართველოვო, საცოდავიო, ეგეთი შეურაცხყოფა ჩვენთვინ მურვან ყრუს, ბუღა თურქსა და აღა-მაჰმად ხანსაც კი არ მოუყენებია!

ახლა ეს ამ სახელმწიფოში შემოსაშვები არი?

რა თქმა უნდა, არ არი!

გადი, ქალო, იქით!!!

მაგრამ, სანამ ვიოლა გავა „იქით“, მე იმას მოგახსენებთ, „ვინები“ მონაწილეობდნენ გარდაცვლილი მაკკეინის კონფერენციაში. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში კარა მაკდონალდი, ეველინ ფარკასი, მაკკეინის ინსტიტუტიდან, დევიდ კრამერი, ჯორჯ ბუშის ინსტიტუტიდან, ნატოში აშშ-ის ყოფილი ელჩი კურტ ვოლკერი, აშშ-ის ძალების ევროპული სარდლობის ყოფილი მეთაური, გენერალი ბენ ჰოჯესი, ევროპარლამენტარები: ვიოლა ფონ

8 ბ3.

ქვეყანაში არსებული მეხუთე კოლონა საქართველოს ძირს უსინდისოდ უთხრის

„საერთო გაზეთის“ სტუმარია სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მამალაძე

— ბატონო ლევან, როგორ ვითარდება პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში, „ცხელი შემოდგომა“ იწყება?

— ვითარება, რაც დღეს არის შექმნილი, არ განსხვავდება იმ სიტუაციისგან, რაც იყო გაზაფხულსა და ზაფხულში. სიტუაცია დაძაბვისკენ მიჰყავთ, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, მეხუთე კოლონა, ანუ ის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან და ასრულებენ მათ დავალებებს, ცდილობენ, როგორმე დაძაბულობა შექმნან ქვეყანაში, გააკეთონ ის, რაც აქამდე არ გამოუვიდათ.

როგორც ვხედავთ, პრობლემები შეექმნა საქართველოს ევროკავშირთან და აშშ-სთან და ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველომ გადაწყვიტა თავისი ინტერესების განხორციელებისთვის ზრუნვა დაეწყო და არ ემოქმედა, როგორც მონას, რომელიც ბრძანებებს ასრულებს.

შეიქმნა უკმაყოფილება და ელჩმაც არ დააყოვნა: საქართველოს ყველაფერში ვეხმარებით, 6 მლრდ დავახარჯეთ და ჩვენს დავალებებს არ ითვალისწინებთო.

როგორც არ უნდა შევფუთოთ ეს „დავალებები“, ფაქტი ერთია, დასავლეთის ინტერესი იყო, საქართველო შესულიყო საომარ კონფლიქტში რუსეთთან. რა ფორმით, რა შედეგით, ეს სხვა საქმეა, მაგრამ, ფაქტი ისაა, რომ ყველაფერი, რაც ბოლო ხანებში ითქვა და გაკეთდა, მიმართული იყო საქართველოსა და რუსეთს შორის კონფრონტაციისკენ.

— ხშირად ვკითხულობ ამას და თქვენც მინდა, გკითხოთ: რას გვთხოვენ, რას გულისხმობს მეორე ფრონტი, ოკუპირებულ ტერიტორიებში შეჭრას, თუ პირდაპირი ომის დაწყებას რუსეთთან?

— რა უნდა მოვიმოქმედოთ, ეს ცოტა ბუნდოვანი საკითხია, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ ეს პროცესი, მათი მითითებით, უნდა დაგვეწყო.

იგივე მოხდა უკრაინაშიც. სანამ უკრაინელებმა არ დაანახეს დასავლეთს, რომ ისინი მზად იყვნენ ომისთვის, დახმარებას არ უწევდნენ.

„ჩვენს მეგობრებს“ ომი უნდათ, მაგრამ არ ითვალისწინებენ საქართველოს გამოცდილებას — ჩვენ ტერიტორიები დავკარგეთ, დაგვსაჯეს, დავზარალდით, თუმცა კაციშვილი არ დაგვხმარებია, შეშფოთებების გარდა. დღესაც, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ წინააღმდეგობაში უნდა შევიდეთ რუსეთთან, გვაქვს გამოცდილება და ვიცით, რომ იგივე სისულელე აღარ უნდა ჩავიდინოთ.

სწორია პრემიერ-მინისტრის და მმართველი გუნდის პოზიცია, რომ საქართველოს ომში ჩართვა კატეგორიულად არის მიუღებელი.

თუკი დასავლეთს სურდა, საქართველო ღია კონფლიქტში შესულიყო რუსეთთან, ამ ხნის განმავლობაში მას გარკვეული სახის კომპენსაცია უნდა გაეწია ჩვენთვის.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მას არ აქვს გადაადგილების საშუალება, არც ფრონტის ხაზების გამართვის, და თუ საქართველოს დაპირისპირებები მოუწევდა, მას აუცილებლად სჭირდებოდა დახმარება. კერძოდ, რუსეთის სარაკეტო დარტმებისგან დაცვა და ა.შ. თუ ქართულ პორტებში ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებით და სხვა სამხედრო აღჭურვილობით დატვირთული ამერიკული გემები დადგებოდნენ, მაშინ ჩვენ მოქმედებებში უფრო თავისუფალი ვიქნებოდით, უნდა გამოეგზავნათ ჰაერსაწინააღმდგო სისტემები, სარაკეტო, ზალპური დანადგარები საავიაციო და რაკეტული დარტყმების მოსაგერიებლად, უნდა გაეწიათ ფინანსური კომპენსაცია — ომისგან მიღებული დანაკარგები, რუსეთთან ტრანზიტის, სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტა, ტურისტების შემოსვლის შეფერხება სახელმწიფო სექტორების სტაგნაციას და განადგურებას გამოიწვევდა.

დასავლეთმა და აშშ-მა არაფერი გააკეთეს და გვიბიძგებენ, შიშველი ხელებით ვიომოთ, მიგვიშვან რუსეთის წინააღმდეგ და დაგვღუპონ ისეთ სიტუაციაში, როცა არავინ არ გვეხმარება.

ომისკენ წაქეზება და ჩვენი დანაშულება ამ კონფლიქტში ჩაურთველობის ბრალდებით, არის საქართველოს მტრობა, ვინც ამ რიტორიკით საუბრობს, არის საქართველოს მოწინააღმდეგე და ჩასაფრებული მტერი.

— საქართველოს ხელისუფლების ოპოზიცია ამას ვერ ხვდება? რატომ ქადაგებენ მაინც მეორე ფრონტის გახსნას?

— იმიტომ რომ, ეს აწყობს დასავლეთს, რომლის მეხუთე კოლონა არის ეს ე.წ. ოპოზიცია. მათ დასავლეთი აფინანსებთ და ისინი საქართველოში არიან მათი ემისრები.

ფაქტია, რომ საქართველოს ინტერესები მათ არ აწუხებთ. ე.წ. ოპოზიციას სურს საქართველო ჩართოს ომში, რომ შემდეგ თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში, იმას კი არ ფიქრობენ, საქართველოს ომში ჩართვის მერე, არაფერი რომ აღარ დარჩება საქართველოსგან. მაგრამ არც ეს ადარდებთ, რაც დარჩება, იმის მეთაურობა უნდათ.

თუ ისინი რაღაც პატრიოტულ განცხადებებს აკეთებენ, ეს არის პიარი მედიასაშუალებებით. მაგრამ აქ არის რამდენიმე დეტალი — პირველ რიგში, მთავრობა უნდა მუშაობდეს ამ საკითხებზე. პრეზიდენტს გააჩნია საკმაოდ დიდი ფუნქცია საგარეო ურთიერთობების წარმართვის კუთხით, რადგან ის არის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოსი საზღვარგარეთ და გახლავთ უმაღლესი მთავარსარდალი.

რაც შეეხება თავად დასავლეთს, მას იგივე მიდგომები აქვს საქართველოსადმი, რაც ჰქონდათ გასული საუკუნის 90-იან წლებში. მას შემდეგ დრო გავიდა, მაგრამ დამოკიდებულება არ შეუცვლიათ.

სამწუხარო ფაქტია, რომ სადაზვერვო და ანალიტიკური სამუშაოების უაღრესად დიდი დეფიციტი შეიქმნა მსოფლიოში და ასეთ პირობებში მიდგომები რომ არ შეიცვლებოდა, ეს არც იყო გასაკვირი, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე, ამის მიუხედავად, მაინც უნდა გაგვეკეთებინა: — პრეზიდენტს უნდა მიეღო გარკვეული ზომები და ყველა კარი უნდა შეეღო, რომ საქართველოს მიმართ დამოკიდებულებები დაეხვეწა და დაერეგულირებინა. ზოგიერთი ექსპერტი და პოლიტიკური მოღვაწე დასავლეთში, არც კი იცნობს საქართველოს, წარმოდგენაც არ აქვთ, ისე წერენ დასკვნებს.

ეს წრე არის გასარღვევი.

საქართველომ აირჩია ევროინტეგრაცია; ჩვენი გეოპოლიტიკური დატვირთვა და ინტერესები გაზრდილია, მაგრამ, როგორც გითხარით, დამოკიდებულებები დარჩა ძველი. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ყველა პოლიტიკური პარტნიორი, როგორც ღირსეულ ქვეყანას, ისე მოგვეპყრან.

ვსვამ კითხვას: რატომ ვერ დაარეგულირა ურთიერთობები ქალბატონმა სალომემ საფრანგეთთან, რომელიც წლების განმავლობაში გვბლოკავდა და დღესაც ბლოკავს ინტეგრაციის გზაზე ევროკავშირსა და ნატოში. არ მახსოვს დღევანდელი პრეზიდენტისგან საქართველოს რაიმე სარგებელი მიეღოს ნებისმიერ სარბიელზე. კრიტიკა და პრეტენზიები — იცოცხლე.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატად რომ არ მიგვიღეს, ერთ-ერთი ფაქტორი იყო ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა; თურმე პრეზიდენტ მაკრონს არ სცოდნია, სად მდებარეობს საქართველო. მაშინ ჩვენ რატომ გვიხაროდა პარიზში დაბადებული პრეზიდენტის არჩევა?

— ბატონო ლევან, ბოლოს და ბოლოს, შიდა ოპოზიციას საქართველოს განადგურება უნდა?

— თუ დავაკვირდებით, რა სურს ე.წ. მე-5 კოლონას, დავიხახავთ რომ მათი ინტერესები ნათელია, მათ სურთ მასობრივი აქციები, მსვლელობები, ბოიკოტი, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა ფუნქციონირება ვერ შეძლონ, ჩამოიშალოს სახელმწიფო და რევოლუცია მოხდეს, რომ მერე თქვან, ხალხმა მოაწყო რევოლუციაო. სინამდვილეში, ყველაფერი წინასწარი გეგმის მიხედვით ხდება, ამისთვის მათ ფულიც აქვთ და შესაბამისი დაფინანსება დასავლეთიდან „ანტირუსული პროპაგანდის“ სახელით. ამ „პროპაგანდის“ მიხედვით, ვინმე უკრაინელსაც კი, რუსულად რომ დაელაპარაკო, რუსეთის აგენტად ჩაგთვლიან და შეიძლება აქციები ამაზეც ააგორონ. ამ დონეზეა ყველაფერი და სახელმწიფოს სჭირდება მეტი პრინციპულობა. ადრე თუ საქართველოს მეთაურები პასუხს ვერ სცემდნენ მსგავს ქმედებებს, დღეს ასეთი სისუსტე ნაკლებად შეინიშნება, თუმცა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემები მრავლად დაგროვდა ქვეყანაში. ყოველივე ეს კი, შეიძლება, გამოყენებული იქნას რევოლუციური სცენარებისთვის. დღეს ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც საქართველოს მოწინააღმდეგებმა შეიძლება გამოიყენონ, არის ქვეყანაში შექმნილი სოციალური პრობლემები.

კეთილმოსურნის პოზიციიდან ვაფრთხილებ ყველას: ქვეყანას აქვს ორნიშნა მატება, ტრანზიტი, ტურიზმი, მოხერხდა სამრეწველო პოტენციალის ამოქმედება, დაფინანსდნენ ფერმერები, გაიზარდა შემოსავლები, ყოველივე ეს უნდა დაეტყოს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონეს. თუ არ დაეტყობა, გინდა 2-ნიშნა მატება დავარქვათ, გინდა 3-ნიშნა, ჩვენს ეკონომიკას არ ექნება სოციალური ეფექტი. ესაა პრობლემა და არა ის გამონათქვამები, რაც აქვს მე-5 კოლონას ყველა გამოსვლის დროს.

— რა აცოცხლებს ამ მე-5 კოლონას და ვინ არიან ისინი?

— ესენი არიან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდებიან საზღვარგარეთიდან, მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლი-

9 გვ.

მეჩრეხი

6 გვ.

კრამონი და ანა ფოტიგა, საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი იან კელი, უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი უილიამ ტეილორი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ამორტიზებულები ჩამოვიდნენ, დასხდნენ, წინ ჰელენ გოგიევიჩი დაისვეს, ეკა გიგაური დაისვეს, ხატია დეკანოიძე დაისვეს, ჯუნიორ ვაშაძე დაისვეს, ფადი ასლი დაისვეს და განუცხადეს:

„ჩვენ არ ვართ უბრალოდ მაყურებლები, ჩვენ ვართ ინვესტორები, ჩვენ ვართ დაინტერესებული მხარე, ძალიან ვღელავთ საქართველოზე“.

ჰა, ჰა, ჰა!

რა ინვესტორები ხართ, ქალო? რა დაინტერესებული მხარე? რას ღელავთ საქართველოზე, როცა მკვლელების გვერდით დგახართ? რა მათე, რი ატამი და რომელი ტყემლის კურკა? ესენი ან ძალით იაჯმებენ თავებს, ან აჯმები არიან, ან კიდე ეგეთი მითითებები აქვთ. პრინციპში, ჩვენთვის მნიშვნელობა

არ აქვს, ჩვენ როგორც გვექცევიან, ასევე მოვექცევით, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა თავში გვიკაკუნებდნენ და ხმას არ ვიღებდით.

რაც შეეხება ადგილობრივ მოღალატეებს, გოგიევიჩს, ხატიასებრთა ოჯახის წარმომადგენლებს (ასე ეძახის თეა წულუკიანი) და მათნაირებს, ასეთთა წინააღმდეგ არსებობს სისხლის სამართლის კანონის 319-ე მუხლი:

„უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის დახმარება ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის ხელყოფა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე“.

როგორ ფიქრობთ, ესენი არ ეხმარებიან უცხო ქვეყნების ორგანიზაციებს, როცა საქართველოს მოქალაქეებისთვის სანქციების დაწესებას ითხოვენ და თანაც ითხოვენ ყოველგვარი ფაქტების გარეშე? ამათი „მოღვაწეობა“ განა არ მიუთითებს იმაზე, რომ ასრულებენ უცხოთა მითითებებს და ამაში იღებენ სოლიდურ გასამრჯელოს? სამწუხაროთ, ჩვენში არსებობს კანონები, კანონთა მუხლები, რომლებიც ან დავიწყებულია, ან საერთოდ ფერფლწაყრილია და მგონი, მათი არსებობა თვით იურისტებმაც კი აღარ იციან. არადა, დროა, ბევრი რამ გავიხსენოთ, ხელახლა შევისწავლოთ და წესრიგი დავამყაროთ. სათქმელი ბევრია, დანარჩენზე მომდევნო ნომრებში მოგახსენებთ. ერთში დარწმუნებულნი იყავით, ამ ქვეყანას ვერავის ავარევინებთ, ვერც შინაურს, ვერც გარეულს, ვერც შემოსულსა და ვერც შემოპარულს!

საქართველოში ოდითგან „მოღვაწე“ აგენტურა

ამ დღეებში „ქართული ოცნებიდან“ განდგომილმა ოთხეულმა (სოზარ სუბარმა, დიმიტრი ხუნდაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა და გურამ მაჭარაშვილმა) ისევ გამოაქვეყნეს წერილი, სადაც საუბარია უცხო ქვეყნის (ქვეყნების) ე.წ. აქაურ აგენტებზე. მოდით, ჯერ გავეცნოთ ამ წერილის შემცირებულ ვერსიას, შემდეგ კი გამოვიტანოთ დასკვნაც:

„პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ღრმად ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან, როგორ შეიყვანა 90-იანი წლების ბოლოდან ამერიკის საელჩომ შევარდნაძის იძულებითი თანხმობით თავისი ხალხი თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მოსაწყობად როგორ შეიქმნა და აღიჭურვა ათეულობით ენჯ-ო და რევოლუციის შემდეგ როგორ ჩამოყალიბდა ხელისუფლების ვერტიკალი, რომელიც 2004-12 წლებში საელჩოს სრულ კონტროლს ექვემდებარებოდა.

შესაბამისად, თუ 80-იან და 90-იან წლებში საქართველოს სუვერენიტეტს მთავარ საფრთხეს „კაგებეშნიკები“ და რუსული სპეცსამსახურების აგენტები უქმნიდნენ, 2000-იან წლებში რუსულ აგენტურასთან ერთად სუვერენიტეტისთვის სერიოზულ პრობლემად ამერიკული აგენტურაც იქცა. მეტიც, აგენტურის სიას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ არაერთ შემთხვევაში კონკრეტულმა პოლიტიკოსებმა ამერიკულ სპეცსამსახურებში პირდაპირ რუსული სპეცსამსახურებიდან ამოყვეს თავი. ეს ფაქტი თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ აგენტი სხვა სახელმწიფოს სამსახურში არა მისი პოლიტიკური ორიენტაციის, არამედ მხოლოდ უპრინციპობისა და უსამშობლობის გამო დგება.

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სიახლე ვერც ის იქნება, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლების მთავარი ლიდერები და იდეოლოგები ამერიკულ აგენტურაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებდნენ. ჩვენი ინფორმაციით, 2013 წელს ორი მათგანი სწორედ საელჩოს დაჟინებული თხოვნით გადაურჩა დაჭერას, როდესაც პროკურატურას მათზე სრულიად უნაკლო სისხლის სამართლის საქმეები ჰქონდა გამზადებული. ენჯეოების რამდენიმე ყოფილი და მოქმედი ლიდერის აგენტობაზე საზოგადოებას, ვფიქრობთ, თავისი მკაფიო წარმოდგენა აქვს შექმნილი. აგენტურა საკმაოდ სოლიდურად იყო წარმოდგენილი 2012 წლის სამთავრობო კოალიციაშიც, რის გამოც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას ამერიკელები მაშინ შედარებით მარტივად შეეგუენ.

დღეისათვის, ამ ადამიანების უმეტესობა „ნაციონალურ მოძრაობაში“ და სხვა რადიკალურ ოპოზიციურ პარტიებშია გადანაწილებული. მათგან ზოგიერთი ჯერჯერობით შედარებით დაბალი ჩინის აგენტები უნდა იყვნენ, თუმცა, ვხედავთ, რომ დაწინაურებისთვის ისინი მაქსიმუმს კადრულობენ.

ბუნებრივია, მიამიტები ვერ ვიქნებოდით და იმის ილუზია ვერ გვექნებოდა, რომ ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აგენტურის ქსელის გარეშე იმოქმედებდა. აქ საყურადღებო ორი ფაქტია: პირველი, გზავნილი იმის შესახებ, რომ მხოლოდ რუსეთის აგენტია ცუდი და ამერიკის აგენტი კარგია, რომელიც რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე პირდაპირი ფორმითაც კი შემოგვაპარეს, სრულიად მიუღებელია. პარტნიორი სახელმწიფოს აგენტობა ზუსტად ისეთივე სამშობლოს ღალატი და უღირსი ქმედებაა, როგორიც ოკუპანტი სახელმწიფოს აგენტობა. შესაბამისად, ამერიკელების მიერ აგენტურის ქსელის შექმნას გარკვეული რაციონალური ახსნა თუ აქვს, ქართველების აგენტობას იოტისოდენა გამართლებაც ვერ ექნება;

მეორე, განსაკუთრებით შემაშფოთებელი ისაა, რომ საელჩო თავის აგენტურას დღეს პოლარიზაციისთვის, ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლების შეცვლისა და მეორე ფრონტის გახსნის მცდელობისთვის იყენებს. ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ამ საქმეში აგენტები საელჩოს მხოლოდ ბრმად მიყვებიან და ქვეყანას შეგნებულად არ ვნებენ. ეს ფაქტი აგენტების უღირსობას განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს“.

რომელ აგენტურაზეა საუბარი „ოთხეულის“ ამ წერილში? ამა წლის 30 აგვისტოს ერთ-ერთ ქართულ საიტზე (ONGO) გამოქვეყნდა სტატია სათაურით - „ამერიკული აგენტურა საქართველოში, ანუ მონები და მონის მონები“, სადაც აგენტურა საქართველოში, ანუ მონები და მონის მონები“, სადაც პირდაპირ არიან დასახელებული აშშ-ის აგენტები, რომლებიც ადრე რუსეთის სამსახურში იდგნენ. სტატიის თანახმად, ესენი არიან: გიორგი მარგველაშვილი, დავით უსუფაშვილი, ეკა გიგაური, გიგი უგულავა, გრიგოლ ვაშაძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, თამარ ჩუგოშვილი, ნიკანორ მელია, ბადრი ჯაფარიძე, ძმები ბერძენიშვილები, მიხეილ საკაშვილი, შალვა ნათელაშვილი, გიორგი გახარია, ირაკლი ალასანია, მამუკა ხაზარაძე, ნიკა გვარამია, დავით ბაქრაძე, ნინო ლომჯარია და სხვები.

„ოთხეულის“ წერილში ნახსენებია ორი პიროვნება, რომლებიც 2012 წლის შემდგომ ციხეს იმის გამო გადაურჩნენ, რომ აგენტები არიან. ერთი უთუოდ გიგა ბოკერიაა, რომელსაც ყოველწლიურად 20 მილიონი ლარი ეძლეოდა უცხოელი ლობისტებისთვის და სად როგორ მიჰქონდა, ღმერთმა იცის. ამაზე იყო აღძრული საქმე, დაპატიმრებასაც უპირებდნენ, მაგრამ აბა, გავლენიან აგენტს როგორ დააჭერინებდნენ? მეორე „დასაჭერი“ ვინ იყო, არ ვიცი, ასე შეიძლება ნებისმიერს დავადოთ ხელი.

ერთი, რა მაგის პასუხია და, რომ არა აგენტობა, თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრად რა უნდოდა? მოინდომა ქმარმა და აუსრულა ცოლს ბავშვობის ოცნება. ისე, აქედანაც კარგად გამოჩნდა, რა აზროვნების ხალხია ამ ოჯახში შეუღლებული - პარლამენტიდან რომ რამდენიმე თვე თავდაცვის მინისტრად გადახვალ და ამხელა ქალი „ტელეგრეიკით“ ივლი, მთლად ჯანზე ვერ უნდა

გამოიყურებოდე. სხვათა შორის, ამ აგენტურის მხრივ, დიდი სიახლე და რამე სკანდალური არ თქმულა - რა, ჩვენ არ ვიცოდით, რომ ესენი სხვა ქვეყნების ინტერესებს ემსახურებიან? მარტო რუსეთს და აშშ-ს? არა, ვინც გადაუხდით, ესენი ყველას დიდი სიამოვნებით მოემსახურებიან, „დაჟე“ გვატემალას და ნაურუსაც!

დაბოლოს, ბარემ იმაზეც ვთქვათ, რა ჯიშის აგენტებთან გვაქვს საქმე - მე შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ესენი ნამდვილად არ არიან ჯეიმს ბონდები, ესენი არიან ნეობოლშევიკური აზროვნების ადამიანები, ასე იყვნენ მათი მამებიც, პაპებიც და საერთოდ, წინაპრებიც. ესენი რუსებისთვის და ამერიკელებისთვის არიან გავლენის აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნის არევა და 1990-იანი წლებიდან ურევენ კიდევაც. ბოლო დროს ამ ხელისუფლების პირობებში გაუხუნდათ ლილა და აღარაფერი გამოსდით, თორემ აქამდე გამოსდიოდათ და კაი „ფულებსაც“ აკეთებდნენ. ჩემი აზრით, ამათი საქმიანობა უფრო შიდა საქმეების ამყრალებაა, ვიდრე წმინდა წყლის შპიონაჟი ან ჯაშუშობა. არა, ესენი არც მაგაზე იტყვიან უარს, მაგრამ შესაძლებლობებს თუ შევუფასებთ, ეგ არი, მეტი არ შეუძლიათ. ბოლო პერიოდში ბევრს ყავლიც გაუვიდა და ეჭვი არ არის, აშშ-ელებმა შეცვლაზეც უნდა იზრუნონ.

რამდენი სახის აგენტები არსებობენ ამ დუნიაზე? არსებობენ სერიოზულები, გავლენიანები, ცოტა არასერიოზულები, შედარებით უავტორიტეტოები და თავზე ხელაღებულები. მაგალითად, გირჩი ზურაბა განეკუთვნება არასერიოზულთა რიცხვს, მას ყოველთვის იყენებენ ის, სადაც ადგილი აქვს ძალიან დიდ „სირობებს“. ალბათ იფიქრებთ, ეს რაში სჭირდებათო? სჭირდებათ, როგორც ჩანს... გაიხსენეთ, როგორ მივარდა ამას წინებზე გირჩი ზურაბა პარლამენტთან და დაიწყო შენობის აზომვა. ამით შექმნა შთაბეჭდილება, მეორე დღეს მივიდოდა და ამავე შენობის დაშლას დაიწყებდა. მან შექმნა აღქმა, რაც ასერიგად უყვარს ნიკა გვარამიას და უყვართ „ნაციონალებს“.

იცით, რამ გააძლებინათ 10 წელიწადი „ნაციონალებს“ და იცით, რატომ არ დაიშალნენ ბოლომდე? ისინი ცხოვრობენ აღქმებით, ანუ ფანტაზიებით, რეალობას არ ცნობენ, რეალობა მათთვის არ არსებობს...

მოდით, ამჯერად ამით დავამთავროთ, საქართველოში „მოღვაწე“ აგენტურას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და უფრო დეტალურად გაგაცნობთ, რას ჩალიჩობენ „ძვირფასი“ მტრები.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

7 გვ.

ტიკურ ცხოვრებაში და აქვთ საშუალება გავლენა მოახდინონ მათზე.

საქართველოში აუცილებლად არის გადმოსატანი ამერიკული კანონი, რომელიც კრძალავს უცხო ქვეყნებიდან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსებას. ამ კუთხით სამართლებრივი რეგულაციები ან აკრძალვები საქართველოში არ არსებობს.

— ბატონო ლევან, ამასწინათ საქართველოს პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდეთ. ზემოთ კი თქვით, მეტად უნდა ეაქტიურა ევროსტრუქტურებშიო, მაგრამ ეს მაინც არ მგონია გადადგომის საბაბი იყოს.

— როცა პარლამენტარები „ნულად“ შეგაფასებენ და ვეტო-

ქვეყანაში არსებული მეხუთე კოლონა საქართველოს ძირს უსინდისოდ უთხრის

აყრილ მდგომარეობაში ჩადგები, პატივმოყვარე ადამიანი და მით უფრო, პრეზიდენტი გადადგებოდა და ახალი არჩევნების ჩატარების პროცედურას დაიწყებდა.

მე მის მიმართ მაქვს შეკითხვები: როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ქვეყნის ერთიანობის და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტმა, რა გააკეთა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ან აგრესორთან მოლაპარაკების წარმართვისათვის?! რა წინადადება მოამზადა მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების ხელშესაწყობად, მცოცავი ბორდერიზაციის შესაჩერებლად, აფხაზებთან და ოსებთან შერიგების პროცესის დასაწყებად?! რატომ ვერ პასუხობს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის და მის წარმომადგენლებს, რომელნიც არ წყვეტენ საქართველოს მიმართ აგრესიულ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს, რევოლუციითა და არეულობით იმუქრებიან?

როგორც თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რითი დაეხმარა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ამ რთულ და სახიფათო ვითარებაში?! რატომ ვერ გაუკეთა ორგანიზება თავდაცვის საბჭოს საქმიანობას და ვერ დასახა სტრატეგიული გეგმა საქართველოს გაძლიერებისათვის?! რატომ არ შეაღო ყველა კარი ნატო-სა და აშშ-ში, რომ მოეწოდებინათ საქართველოს შეიარაღებულ ძალებისთვის თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო და სხვა საშუალებები, რაც ჩვენი პატარა ტერიტორიის რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისგან დასაცავად არის საჭირო?! რით ვერ განაწყო საფრანგეთი და გერმანია საქართველოს სასარგებლოდ, რომელნიც რუსეთის კარნახით ყოველთვის ბლოკავენ საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას?

რა გააკეთა, როგორც საქართველოს უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო ურთიერთობებში?! რატომ არ შეადგინა საქართველოს მთავრობასთან ერთიანი სამოქმედო გეგმა, ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად?

რატომ არ იცავს საქართველოს სუვერენულ ინტერესებს საგარეო ურთიერთობებში და მხოლოდ ევროპის ზოგიერთი ლიდერის პოზიციას აჟღერებს? რომელი ქვეყნის ელჩს ან წარმომადგენელს უპასუხა საქართველოს დამცირებისთვის და არ განუმარტა მათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები? რატომ არ გასცა პასუხი ანგაჟირებულ ევროპარლამენტარებს და უკრაინელ „მოღვაწეებს“, რომელნიც საქართველოს ომში ჩართვისთვის იბრძვიან და პოლიტიკური შეკვეთით ჩვენს ქვეყანაზე და მოქალაქეებზე სანქციების დაწესებას ლობირებენ?!

რამდენჯერ უშედეგოდ შეხვდა ევროკავშირის პრეზიდენტ შარლ მიშელს, რისთვის იყო ეს შეხვედრები, როცა ევროკავშირის მოთხოვნათა შესრულებით წარჩინებული საქართველო უკრაინის და მოლდოვას უკან დააყენეს?

აქამდე როგორ ვერ აუხსნა თავის პრეზიდენტს, საფრანგეთის მეთაურს ემანუელ მარკონს, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ეს ევროკაშირის წევრობის კანდიდატის მიღებაზე უარის მიზეზი რომ არ გამხდარიყო?!

რატომ აქცია უფლებამოსილების გამოყენება პოლიტიკური ინტრიგებისა და დაპირისპირების საშუალებად, მათ შორის შეწყალების უფლებაც, რომელიც უსამართლობის, პოლიტიკური გარიგების და უფლებათა შელახვის საგნად აქცია?

დიახ, საქართველოს პრეზიდენტმა, საზოგადოების გაერთიანების ნაცვლად, დაპირისპირება გააღვივა. მათ, რომელთაც ადრე სისხლიან მოძალადეებად მოიხსენიებდა, დღეს თავის მომხრეებად აქცია.

ამიტომ ახსენებს მას საზოგადოება, თუ ვისი მხარდაჭერით გაიმარჯვა არჩევნებში.

გასაგებია პროტოკოლი, მანერები და წვეულებები, ასევე არაფერია ცუდი იმაში, რომ პრეზიდენტმა თავისი დრო საქართველოს ტურისტული მარშრუტების გაცნობას და ღვინის ნაწარმის დაგემოვნებას დაუთმოს, მაგრამ გამოწვევების გარემოცვაში მყოფ საქართველოს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ პრეზიდენტის ესოდენ მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ძირითადად, ამგვარი საქმიანობით იყოს დატვირთული.

მივმართავ ქალბატონ პრეზიდენტს: ქალბატონო სალომე, ადამიანის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ დაშვებული შეცდომები სხვას გადააბრალოს და თავი მართლად წარმოაჩინოს. ამ განცდით, თქვენც შეიძლება ყველაფერი მთავრობას გადააბრალოთ, ან მას, ვინაც საქართველოს პრეზიდენტად ყოფნის უნიკალური საშუალება მოგცათ, მათ მიმართაც უამრავი კითხვა აქვს საზოგადოებას, მაგრამ გამართლების ძიების გარეშე, თქვენ თავს ჰკითხეთ, რა არ გააკეთეთ და რატომ დააკელით ამდენი საქართველოს?! ვისზე მუშაობთ ქალბატონო პრეზიდენტო?!

პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სიმბოლოს წარმოადგენს და ეს ბოლომდე რომ არ გაუფასურდეს, თქვენი გადადგომა ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება.

თქვენი გადადგომით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა გამარტივებული წესით პირველად ჩატარდება. ეს არ იქნება პირდაპირი საყოველთაო არჩევნები, საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის თანახმად, შედგება საარჩევნო კოლეგია 300 წევრის შემადგენლობით, რომელიც აირჩევს ახალ პრეზიდენტს. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა ახალ არჩევნებში და შედეგებით დარწმუნდეთ, რამდენად ლეგიტიმურია ზემოთ დასმული კითხვები.

საქართველოს ისეთი პრეზიდენტი სჭირდება, რომელიც უცილობლად დაიცავს ქვეყნის სუვერენიტეტს, დაიწყებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს, რეალურად გააერთიანებს და შეარიგებს ქართველ ხალხს, დაარწმუნებს საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს საჭიროებაში, დაბალანსებს ურთიერთობებს სტრატეგიულ პარტნიორებთან და მოწინააღმდეგეებთან, ქვეყანას შეუქმნის უსაფრთხოების დამატებით საშუალებებს, ევროკავშირისა და ნატოსთვის აუცილებელს გახდის საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებას, მთლიანობაში კი გააძლიერებს საქართველოს სახელმწიფოს და აამაღლებს მის სტატუსს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ღია წერილი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

იუსტიციის სამინისტროს, პარლამენტს, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საელჩოებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

ბატონო ირაკლი!

ქვეყნის სხვა მოქალაქეებთან ერთად აღშფოთებით ვადევნებ თვალს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის უსაფუძვლოდ და უსაზღვროდ გაჭიანურებულ სასამართლო პროცესს. აღმაშფოთებელია ისიც, რომ „რეფორმატორ“ პრეზიდენტს ვედავებით პირად დროსტარებაში გაფლანგულ ასიათასებს თუ კინკილა მილიონებს და თვალს ვხუჭავთ იმ ასეულ მილიონობით დოლარის ზარალზე, რომელიც მან მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას თავისი გაუაზრებელი, დებლიოიდური გადაწყვეტილებებით.

ერთი მათგანია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 ივნისის დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირების — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტების გაერთიანების შესახებ“.

დადგენილება მიღებული იქნა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით: ზოოვეტუნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ატესტაცია და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არ ექვემდებარებოდა რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას.

კანონდარღვევით მიღებულმა დადგენილებამ ბიძგი მისცა უკანონობათა ახალ კასკადს: მკვეთრად გაუარესდა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები, გაიძარცვა სამეცნიერო ბაზა, მოიშალა კვლევის ელემენტარული პირობები უწყლობისა და უშუქობის გამო, კაპიკებად გაიყიდა 77-წლიანი ისტორიის მქონე მრავალ ათეულ მილიონად ღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეცხოველეობის მსხვილი მაღალტექნოლოგიური ფერმები, ძვირადღირებული შენობა-ნაგებობები, სანმუშო კამპუსი, სადისლოკაციო ტერიტორია, ინფრასტრუქტურა, განადგურდა ნახევარმილიონიანი უნიკალური წიგნადი ფონდი. საფუძველგამოცლილი ვეტერინარული მედიცინის დარგი მთელი საუკუნით ჩამორჩა განვითარების მსოფლიო დონეს. ქვეყანაში შეიქმნა უკიდურესად დაძაბული ეპიზოოტიური და ეპიდემიური სიტუაცია — აი, „დიდი რეფორმატორის“ უკანონო დადგენილების მიღებისა და მისი „ბრწყინვალე“ რეალიზაციის ლოგიკური შედეგი.

საქართველოში ვეტერინარიის ლიკვიდაციის წარმატებით დასრულების შემდეგ ქვეყნის მეთაურმა თავად იკისრა რესპუბლიკის მთავარი ბეითლის ფუნქცია, იმჟამად მსოფლიოში ყბადაღებული ქათმის ჭირის ფონზე. ახალ ამპლუაში აჟიტირებულმა მიშა-ბეითალმა არნახული აქტივობით ატარა მთავრობის თათბირები ქათმის ჭირზე. კულისებში ქირქილებდნენ: ქვეყნის საერთო ჭირს ვერ შველის, იქნებ, ქათმის ჭირს მაინც უშველოსო.

სამწუხაროდ, ვერც ქათმის ჭირს უშველა უვიცმა პრეზიდენტმა. იმის ნაცვლად, რომ პრეზიდენტ ბუშის მიერ გამოყოფილი 30 მილიონი დოლარი ფრთოსანთა გადამრჩენი აცრებისთვის გამოეყენებინა, თანხა გაურკვეველი მიმართულებით წარმართა. ბოროტი ენები კვლავ აქირქილდნენ: „მიშა პრეზიდენტი ქართულ წარმოებას ანადგურებს და „ბუშის ბარკლების“ გასაღებას უწყობსო ხელს.

ვერც ღორის ჭირთან ბრძოლაში გამოიჩინა თავი „დიდმა რეფორმატორმა“ — დაავადების კერებში ვეტერინარების ნაცვლად ქორ-ვაჭრები ჩადიოდნენ, კაპიკებად ყიდულობდნენ დაავადებულებს, ჯანსაღ ტერიტორიებზე ყიდდნენ დასენიანებულ ხორცს და ხელოვნურად ავრცელებდნენ ინფექციას. დაავადებამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას.

რაც შეეხება ცხოველთა და ადამიანთა სხვა ფრიად საშიშ საერთო დაავადებებს, აქაც ძალზე დაძაბული ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მძვინვარებს, რაც ექსპრეზიდენტის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით მიღებული №101 დადგენილების „ბრწყინვალე“ რეალიზაციის შედეგია.

„დიდი რეფორმატორის“ ანტივეტერინარული პოლიტიკის კიდევ ერთ „დამსახურებად“ შეიძლება ჩაითვალოს ტაბახმელის იმ გიგანტური ბიოკომბინატის განადგურება, რომელიც მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანას ამარაგებდა მაღალხარისხოვანი პროფილაქტიკური ბიოპრეპარატებით და მილიონობით ვალუტას მატებდა ბიუჯეტს. მის ნაცვლად თბილისის მახლობლად მეტად საეჭვო ბიოლაბორატორია შეიქმნა, რაც ახალი, უნიკალური ეპიზოოტიების და ეპიდემიების გავრცელების რეალურ საფრთხეს შეიაცავს.

ქართული მეცნიერების „დედა ტერეზა“ — ქ-ნი გიული ალასანია გულასმოსკვნით იცრემლება: რისთვის ტანჯავენ ჩემს უდანაშაულო მიშიკოს?

ბატონო ირაკლი, მიიღეთ მხედველობაში დედის ცრემლები, უპასუხეთ, რომ „ტანჯული“ ექსპრეზიდენტი არ არის „მამა აბრამის ბატკანი“ და დააჩქარეთ უზომოდ და უსაფუძვლოდ გაჭიანურებული ზედმეტად ჰუმანიზირებული სასამართლო პროცესი, ჩართეთ მასში ექსპრეზიდენტის მიერ ჩადენილი, დღემდე მიჩუმათებული უბოროტესი დანაშაული, ხელისუფლების დანაშაულებრივი გადამეტებით მიღებული დადგენილება და მისი რეალიზაცია, რამაც წარმოუდგენლად დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს — ვეტერინარიას.

სამართალმა უნდა იზეიმოს — გაუქმდეს უკანონო №1011 დადგენილება, აღდგეს მსოფლიოში ცნობილი უნიკუმი — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტი. მით უმეტეს, რომ ამის პრეცედენტი არსებობს — შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ბედი ჰქონდა ყოფილ ფიზკულტურის ინსტიტუტს, თუმცა მისი გაუქმების უგუნური გადაწყვეტილება ამჟამად შეცვლილია და სპორტის უმაღლესი სასწავლებელი აღდგენილია. ვიმედოვნებ, რომ ამ წერილში დასმული საკითხიც თქვენი ძალისხმევით დადებითად გადაწყდება.

ღრმად პატივცემულო ბატონო ირაკლი!

გთხოვთ, რომ თქვენთვის დამახასიათებელი უმაღლესი პრინციპულობით და ობიექტურობით მოეკიდოთ ქვეყნის მომავლისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას, რაც დიდი ნაბიჯი იქნება მსოფლიო პროგრესისკენ და ევროპარლამენტის მიერ საქართველოს დაწესებული „საშინაო დავალების“ შესასრულებლად მიმავალ გზაზე.

დიმიტრი კანანაძე,
აკადემიკოსი, ვეტერინარ ექიმთა ასოციაციის პირველი პრეზიდენტი
558 65 35 04

ანტირუსული ისტერია უნიჭო სცენარით

ამ დღეებში ჭუტაანთ ე.წ. ტელევიზიაში („ტვ პირველი“) ერთი ამბავი ატეხეს, ჩვენს ქვეყანაში რუსეთიდან შემოსულ 422 ადამიანს საქართველოს მოქალქეობა მისცესო, მიანიჭესო... არიქა, ეს პუტინის მიერ კრემლში შემუშავებული პროგრამაა, ახლა იმავე კრემლში იტყვიან, საქართველოში ჩვენებურების უფლებები ირღვევა და ტანკებით შევიდეთ, ყველაფერი მიწასთან გავასწოროთო. როდესაც სიუჟეტის ავტორი ამას აცხადებს, თან ქოშინებს, ხორხიდან უცნაური სრუტუნიც ამოსდის, გეგონება, რუსები უკვე მოსდევენ ტანკებითო. არა, მართლა კი არ მოსდევენ, უბრალოდ, მას უნდა, რომ სიუჟეტი უფრო ემოციური და დამაჯერებელი გამოუვიდეს — ვენახიდან მოსული შაქრო რომ მოუსმენს, უნდა შეძრწუნდეს, „კუშეტკიდან“ წამოხტეს, გარეთ გავარდეს და უბორნიაში ჩაიკეტოს.

პრინციპში, ჭუტაანებში შეთხზული ზღაპრებისა არც შაქროს სჯერა, არც მიტოს, არც მიხოს და შესაბამისად, ისინიც უბორნიაში არ ჩაიკეტებიან, პირიქით, მათ ყოველთვის აწუხებთ აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა ჩრდილოელ მეზობელთან დალაპარაკება, როგორმე ტერიტორიების დაბრუნება და ურთიერთობის აღდგენა. სამივემ კარგად იციან, რომ მშვიდობა უალტერნატივოა.

თუკი ჭუტაანებისა არავის სჯერა, მაშინ რატომ წვალობენ, რატომ იტყუებენ საკუთარ თავებს? ეჰ, სამწუხაროდ, ჩვენში არიან გლუვტვინიანები, რომლებსაც ამათი ნათქვამისა სჯერათ და ხშირად აღტყინებულნიც რჩებიან. ეს ის კატეგორიაა, რამდენიმე თვის წინ ე.წ. ოპოზიციონრებმა რუსთაველზე რომ გამოიყვანეს და ტაში აკვრევინეს. 160 ათასი იყოვო, — იძახდნენ მშვილდაძეები... არა, ცოტა მეტი იყოვო, — ამტკიცებდნენ ხაზარაძეები... არა, არ იყვნენ მაგდენნი, სადღაც 50 ათასნი თუ იქნებოდნენ, მაგრამ 4-მილიონში რომ ამდენი კრეტინი გყავს, ესეც ბევრია.

სხვათა შორის, ჭუტაანებში სიუჟეტის დამზადების კიდევ ერთი მეთოდი აქვთ დამუშავებული - მაგალითად, თუ რეალური ციფრი არის 422 და ამას ეკრანზეც წააწერენ, შეგიძლია, ზეპირსიტყვიერად გააორმაგო, ან საგრძნობლად მოუმატო. ასე იყო ამ შემთხვევაშიც, სიუჟეტის ავტორმა თავიდან თქვა, 422 ადამიანს მიანიჭეს მოქალაქეობაო და შემდეგ კი შემოგვაპარა, 750-ს მიანიჭესო. თან დასძინა, ამ თემაზე ხელისუფლება დუმსო... რამდენიმე წამში კი ხელისუფლების წარმომადგენელი გამოვიდა და განმარტა, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა მივეცით, ყველა არის რუსეთიდან დაბრუნებული ეთნიკურად ქართველიო, ანუ ქართველებს მივეცით მოქალაქეობაო, რუსებს — არაო. სიუჟეტის ავტორმა კვლავაც განაგრძო დემაგოგობა - სამწუხაროდ, ამავე პერიოდში მხოლოდ 10-მა უკრაინელმა მიიღო საქართველოს მოაქლაქეობაო, გამოდის, დანარჩენებს უარი უთხრესო. არა, იქნებ მეტს არც მიუმართავს, ძალად ხომ არ მიანიჭებდნენ მოქალაქეობას?

ავტორი დაუსრულებლად იმეორებს: არიქა, რუსი მოდის, რუსი მოდის, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რათა ოკუპანტმა დაგვიპყროსო. ალბათ, ხვდებით, აშკარად ხედავთ, როგორ გულუბრყვილო პროპაგანდასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჭუტაანების მიზანია, ეს ხელისუფლება რუსულ ხელისუფლებად გამოიყვანონ, ბიძინა ივანიშვილი პუტინის მონად დახატონ... აი, ნახეთ, ივანიშვილს სპეციალურად შემოჰყავს საქართველოში რუსები, აძლევს მოქალაქეობას, რათა შემდეგ ამით პუტინს გზა გაუხსნას, ანუ მიზეზი მისცეს, რათა თბილისი დაიპყროსო. აქ ჩვენ რეალობის შეტრიალებასთან გვაქვს საქმე - მეთუთუნე ჭუტა წერეთელი, რომლის დახარჯული 1 „კაპეიკიც“ არავის უნახავს, გმირია, პატრიოტია, ადამიანების დამცველია, ქველმოქმედია, ხოლო ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყნის დაუძინებელი მტერია. გაიგონეთ? ის უმაქნისი არსება გმირია, ეს კიდევ, ეს მართლა გმირი - უმაქნისია, რუსეთის აგენტია, ევროპული ღირებულებების წინააღმდეგია. უკაცრავად, მე ისღა დამრჩენია, ერთი გემრიელად გადავიხარხარო: ჰა, ჰა, ჰა, ჰااااა!!!

მეორე მაგალითი: ისევ ჭუტაანთ „ვიზიამ“ ატეხა სკანდალი, ბათუმში ეს ხელისუფლება რუსულ სკოლას ხსნის, რათა შემდეგ პუტინმა რუსი მოწაფეების ჩაგვრაში დაგვადანაშაულოს და დაგვბომბოსო. ბათუმში ვიღაცა თურმე მართლაც აპირებს კერძო სკოლის გახსნას, კანონით არც ეკრძალება, თუ უნდა, რუსულს გახსნის, თუ უნდა - ჩინურს, თუმცა აქ სიუჟეტის ავტორმა, რომელსაც კაცივით გარეგნობა აქვს და ქალივით ლაპარაკობს, ქალივით მიხვრა-მოხვრით გვიყვება ახალ სკანდალურ ამბავს, ყურადღება გაამახვილა ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე - თურმე ამ სკოლაში ბავშვებს უნდა ასწავლონ კრემლში შედგენილი პროგრამებით. მეტიც, კრემლში შედგენილი და პუტინის მიერ ხელმოწერილი პროგრამებით. მართალია, ავტორს არც კრემლში შედგენილი პროგრამები უნახავს და არც პუტინის ხელმოწერა, მაგრამ არიფი მაყურებელი ხომ წამოიკიდა? ლენჩი მაყურებელი ხომ დააჯერა? მერე ამ ლენჩ მაყურებელს დაუძახებენ, რუსთაველზე გამოდი, სამშობლო უნდა გავათავისუფლოთო, 50 ლარს მისცემენ და ისიც გამოვა, არც ჭკუა დაუშლის, არც გონება.

აქ წინა პლანზე გამოყვანილი ჰყავთ მამალი „ნაცი“ ლევან ხაბეიშვილი, რომელიც ისე გადადის ხოლმე დაუკრეფავში, მის გონებაში ტარანი თვლით აღარ არი... არა, „ნაცები“ თვლა-ანგარიშთან საერთოდაც მწყრალად არიან, მაგრამ ნებისმიერ ამბავს ანგარიშმიუცემლად ჰყვებიან. მაგალითად, ხაბეიშვილის დავთრების თანახმად, ბოლო თვეებში საქართველოში შემოდის ასი ათასობით რუსი და ყიდულობს ასევე ასი ათასობით უძრავ ქონებას. გარდა ამისა, თუ მარტში იყო 3 ათასი რუსი ინდმეწარმე, ახლა არის 6 ათასი. ამ წელიწადში 3400 რუსს აქვს ნაყიდი უძრავი ქონება. ესე იგი, თუ ხაბეიშვილი ერთ ხანობას ამბობდა, ასი ათასობით რუსი ყიდულობს უძრავ ქონებასო, ახლა აღმოჩნდა, რომ 3400 რუსი ყიდულობს. აქ ასი ათასი სპეციალურადაა ნახსენები, ასე უფრო ეფექტურია. ხაბეიშვილი არ ჩერდება, ფქვამს და ფქვამს, აყრის და აყრის თავისას, მოსახლეობამ კარგად რომ აღიქვას, 3400 უძრავი ქონება, ანუ ამდენი სახლი არის ერთი გლდანის რაიონიო. სრული უვიცობა, ამჟამად გლდანის რაიონში ცხოვრობს 350 ათასი ადამიანი, ერთი ბინა საშუალოდ რომ გავყოთ სამზე, ანუ ერთ ოჯახზე, გამოდის, რომ გლდანში არის 100 ათასზე მეტი ბინა.

მე თავის დროზე, „ნაცების“ მოსვლამდე ცოტა ხანს გლდანის რაიონის გამგეობის პრესსამსახურის უფროსად ვიმუშავე და ძალიან კარგად გავერკვიე არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობაში, ორღობეების მდებარეობაშიც - რა 3400 ბინაა მთელი რაიონი, ბიჭო, ხომ არ გაჟრიალებს? არა, ხაბეიშვილს რომ აჟრიალებს, ეგ ვიცით, მაგრამ თავისებურ ვირეშმაკულობას რომ იყენებს, დიდად სამხიარულო რამ გახლავთ. ესე იგი, თუ ჩვენ რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველებს დავუბრუნეთ მოქალაქეობა, მაშინ ვერც ბინების აქ ყიდვას ავუკრძალავთ. უკაცრავად და, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ შეფს, კობა ნაყოფიას, მოსკოვის ცენტრში რომ აქვს კაი გარემონტებული ბინა, პუტინი რამეს ეუბნება? ამ ბინას ართმევს? იქ ცხოვრებას უკრძალავს? მით უფრო, თუკი რუსეთიდან ჩვენებურები დაბრუნდნენ აქ საცხოვრებლად, რა პრობლემაა? რავი, სულ იმას იძახიან, საქართველოდან ხალხი გარბისო, ახლა აღმოჩნდა, რომ მორბის და რა ვქნათ, ხელი ვკრათ? სხვათა შორის, დაუკვრიდით ერთ ცრუ ნიუანსს, ე.წ. ოპოზიციონრები იძახიან, პუტინის კანონის თანახმად, სადაც რუსეთის მოქალაქეები დაიჩაგრებიან, მათ დასაცავად ჯარი შემოვაო. კი, მაგრამ, თუკი ეს ადამიანები საქართველოს მოქალაქეები ხდებიან, ჩვენი დასაცავები ხდებიან და არა პუტინისა. ისე, რაღა დაგიმალოთ და, საქართველოში შემთხვევით შემოსული მაწანწალაც კი ჩვენ უნდა დავიცვათ, ასეთია წესი, რიგი, ადათი და ჩვენი ისტორია, ამას გვავალდებულებს ჯიში, ჯილაგი და მამა-პაპათა ანდერძი.

ამ წერილის უმძიმესი ფინალი!

რასაც ახლა გაჩვენებთ, ამას ქართველი კაცი არ იკადრებს. ვინც იკადრა, არც არის ქართველი, მაგრამ ვინც არის, ადამიანს ხომ მაინც ჰგავს? არადა, ეს ოხერი და ტიალი ერთ დროს იყო საქართველოს გენპროკურორიც, თავდაცვის მინისტრიც, თუ არ ვცდები, ცოტა ხანს ეკონომიკის მინისტრიც. სადაც იყო, ყველგან რაღაცა მიჰქარა, ყველგან რაღაცა გააფუჭა. მერე თავის „უმფროსს“ მიადგა, მორყევა დაუპირა, იმან არც დაუხვალია, ეგრევე შეაგდო კამერაში და მეორე დღეს გამოიყვანა ტელევიზორში სპორტულებით, რაც გუშინ ვილაპარაკე, სულ ტყუილი იყო, ავღელდი და რაღაცები მოვბოდეო. ამის მერე ჩასვეს, ეს ჩემისა, „სამალიოტში“ და გაუშვეს საფრანგეთში ერთი პირობით, შენი ფეხი აღარ ვნახოთ თბილისშიო. ახლა პარიზიდან დაიწყო ბრექიობა, მიშას თვალებში უნდა ჩავხედოო, რევოლუციასავით წამოიწყო, პარტიაც შექმნა, „ზილით“ უნდა შემოსულიყო ცხინვალის მხრიდან, ბლომად ხალხი გაატუტუცა, ერთად შეჰყარა, საკაშვილს დააჭერინა და აწამებინა. მანამდე რაც ჩაიდინა, გეცოდინებათ, თავდაცვის მინისტრობისას ცხინვალს რომ შეუტია, ნახევარი საათით ერთი კუნწუხი რომ აიღო და ბიჭები ჩაახოცინა.

დიახ, ირაკლი ოქრუაშვილზე მოგახსენებთ, ამ ქვეყნის ჩირქიან მუწუკზე, რომელმაც ასეთი რამ თქვა:

„ერთი პატარა მაგალითი/ბიძგი, რამდენიმე რუსი ჩაძაღლდეს რუსული მუსიკის ფონზე გახურებულ ქართულ რესტორანში და მაგათი „დუხი“ აღარ იქნება აქ. ვინაა მაგის მქმნელი, თორემ კი. სტუმარ-მასპინძლობა, ჰუმანურობა, ეკონომიკა და ტურიზმი არ დამიწყოთ თავმოყვარეობის არმქონეებმა“!

წესით, რიგით და კანონით ეს დუპლეტი ეგრევე უნდა გაექანებინათ „კაპეზეში“, მაგრამ არ გააქანეს, ბუზიც არ აუფრინეს. არადა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი მხოლოდ გვეუბნება კი არა გვავალდებულებს კიდევაც:

1. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე.

2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის

მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელიც რუსებთან თანამშრომლობაშია შემჩნეული, უფრო შორს წავიდა, ვინმე გიგა გულუამ შესთავაზა, მომე 5000 დოლარი და ერთ რუსს გავაგორებო.

ოქრუაშვილის პასუხი: „მაა, ბებიამა, ჩვენ მაგას ხუთ თუმნად ვაკეთებთ“!

წარმოგიდგენიათ? ასეთი რამ ხდება 21-საუკუნის 20-იან წლებში და თანაც საქართველოში, ისტორიულად ტოლერანტულ სახელმწიფოში. ადამიანები, რომლებიც ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ მცდარ პოლიტიკას და ადამიანურ ურთიერთობებს, ისინი შეიძლება მდიდრებიც იყვნენ, შეიძლება სასახლეებშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ თავიანთი გონებრივი შესაძლებლობებით ისევ იქ არიან ჩარჩენილები, გამოქვაბულში. დიახ, ისინი ჯერ კიდევ სტვენით დარბიან გაუვალ უღრანში და ჯოხებით ეძებენ საკვებს... მიუხედავად იმისა, რომ სათქვლეფი არ აკლიათ.

ჰმ... 5 ათასი დოლარი მომეცით და ერთ რუსს მე გავაგორებო, ეუბნება ქართველი მოხალისე ოქრუაშვილს. ბებიაშენისამ, მაგას ჩვენ ხუთ თუმნად ვაკეთებთო. ესე იგი, უკრაინაში იმიტომ გავარდა, რომ თითო რუსის გაგორებაში ხუთი თუმანი აეღო? განა არ მესმის? ვითომ ხუმრობს, ვითომ რუსებს აკნინებს, მეტნი არც ღირანო, მაგრამ ეს ისეთი თემაა, ხუმრობაც რომ არ შეიძლება. აი, აქედანაც ძალიან კარგად ჩანს - „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“, ანუ რა ნაგავიც შიგნიდან გახლავთ, გარშემოც იგივეს აფრქვევს.

აუცილებელი განმარტება:

გასაგებია, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა იმედი არაერთხელ გაგვიცრუა და ტერიტორიებიც არაერთხელ ჩამოგვაჭრა. გასაგებია, რომ უზარმაზარი სახელმწიფო არაერთხელ მოგვექცა უსამართლოდ და არაერთხელ დაგვაზარალა კიდევაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება, ერი გაბოროტდეს და მტრობა ეთნიკურ შუღლში გადაიტანოს - ეს დაუშვებელია და დაუშვებელია მით უფრო მაშინ, როცა მავანნი პროვოკაციებს აწყობენ. ისინი მავნებლები არიან, საიდანღაც ჩამოთესლილი აგენტები, რომელთა წინაპრები მოსახლეობას ხვრეტდნენ, აკულაკებდნენ, ასახლებდნენ... ამათმა მამებმა ესროლეს ზვიად გამსახურდიას, ამათმა ბაბუებმა ესროლეს ილია ჭავჭავაძეს და ახლა ესენი თავად ცდილობენ , ესროლონ ნებისმიერს, ვინც კი ამ ქვეყნის აშენებას მოიწადინებს. არ მინდა, გვარ-სახელები ჩამოვთვალო, საბედნიეროდ ჩვენ გვყვანან ასეთი კაცები და თანაც ისეთი მაგარი კაცები, ესენი, ეს მოღალატეები თავიანთ გულის წადილს ვეღარ ისრულებენ, ვეღარ აკულაკებენ, ვეღარ ხვრეტენ, ვეღარ ასახლებენ და ვეღარ ესვრიან. კი აქვთ სურვილი და დიდი წადილი, მაგრამ ძალა აღარ შესწევთ, ყავლი გაუვიდათ, დრო შეიცვალა. თუმცა... მაინც დიდი სიფრთხილეა საჭირო, დამპალი სისხლისანი მაინც ცდილობენ, რიგითი რუსები 5 ათას დოლარად გააგორონ... არა, რა 5 ათასი? თურმე მაგის გაკეთება ხუთ თუმნადაც შეიძლება... დიახ, როცა ხუთ თუმნად რუსს გააგორებს, მერე ავა ბორჯომის ტყეში და ცეცხლს წაუკიდებს, ვითომ შემთხვევით გაჩნდა... ამას არ დაკმაყოფილდება, სადაც კი ფეხს დაადგამს, ყველგან ცეცხლს მისცემს ყველაფერს... თუ სადმე ილიას გადაეყარა, პირდაპირ დაახლის ბერდენკას... თუ იმან წამოიძახა, არ მესროლო, ილია ვარო, ეს ეტყვის, ილია რომ ხარ, სწორედ ამიტომ უნდა გესროლოო... ზვიადი რომ ხარ, ამიტომ უნდა მოკვდეო... მერაბი რომ ხარ, ამიტომ უნდა გადაიჩეხო მანქანით სადმე მიუვალ ღრეშიო... ნუ გიკვირთ, ამათი ჯიში და ჯილაგი ასეთი წამხდარია, ილიამდეც ასეთები იყვნენ, საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ერთმა კაცმა მოახერხა, ესენი ძელებზე გაესვა, ქვეყანა ამოესუნთქებინა და დიდ სახელმწიფოდ ექცია. დიახ, დავით აღმაშენებელს სხვა გზა არ ჰქონდა, რომ არა ამათი მოშთობა, სახელმწიფოს კი არა, ერთ სოფელსაც ვერ ააშენებდა.

მგონი კალამი გამექცა...

რაც ზემოთ ვთქვი, იმიტომ ვთქვი, რომ ქართველები არ უნდა გავბოროტდეთ, საკუთარმა ბოღმამ არ უნდა დაგვრიოს ხელი, რომ არ წამოგვაგონ იმ პროვოკაციაზე, რომელსაც ე.წ. შინაურები ასე მონდომებით გვიწყობენ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ოპოზიცია თუ ყალთაბანდების „სბროდი“

გასულ კვირას რომ დეკანოიძემ სია აფრიალა, მე საპარლამენტო ოპოზიციის სიას ჩავუჯექი.

თეონა აქუბარდია, აკაკი მინაშვილი, კობა ნაყოფია, ნონა მამულაშვილი, გუბაზ სანიკიძე, კახა ოქრიაშვილი, გელა მიქაძე, ანა ნაცვლიშვილი, ჰერმან საბო, სულხან სიბაშვილი, ნიკა მაჭუტაძე, რამაზ ნიკოლაიშვილი, სალომე სამადაშვილი, ვახტანგ მეგრელიშვილი, ტარიელ ნაკაიძე, ალექსანდრე რაქვიაშვილი, ხათუნა სამნიძე, დავით უსუფაშვილი, ლევან ბეჟაშვილი, ალექსანდრე ელისაშვილი, გიორგი ვაშაძე, არმაზ ახვლედიანი, თინა ბოკუჩავა, რომან გოცირიძე, ზურაბ ვარშალომიძე, მიხეილ დაუშვილი, თამარ კორძია, დავით ბაქრაძე, ხატია დეკანოიძე, გრიგოლ ვაშაძე, აბდულა ისმაილოვი, დავით კირკიტაძე, როსტომ ჩხეიძე, დილარ ხაბულიანი, თამარ ჩარკვიანი, ანა წითლიძე, ცეზარ ჩოჩელი, დევი ჭანკოტაძე, ეკა ხერხეულიძე, ვახტანგ კიკაბიძე, ნატო ჩხეიძე, ლევან ხაბეიშვილი.

ეს არის ქართველი ხალხის უმრავლესობის ანტაგონისტთა სია, მოღალატეთა სია, იმ ადამიანების ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოს პარლამენტში არიან ჩაბუდებული და ქვეყნისთვის სასიკეთო არც ერთი საქმე არ გაუკეთებიათ.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ყოველდღე ფიქრობენ, რა ავნონ ქვეყნასა და როგორ მოახდინონ რამდენიმეჯერ ნაცადი (და 90-იან წლებში განხორციელებული) სახელმწიფო გადატრიალება შიგნიდან და თავად ჯიბეები გაისქელონ.

ესენი იყვნენ 20 ივნისის არეულობის მაპროვოცირებლებიც.

ესენი არიან ჩასაფრებული ყველა დაძაბულობის სათავეებთან.

ამ ადამიანების უმრავლესობას პირდაპირი და ირიბი კავშირები აქვთ სწორედ რუსეთთან საქმით, სიტყვით კი ვითომ წინააღმდეგნი არიან.

რუსეთის კი არა, ესენი ჩვენი ქვეყნის პირდაპირი მტრები არიან, იმ ქვეყნის, სადაც გაიზარდნენ და რომლის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც მოხვდნენ, ჩვენდა სამწუხაროდ.

საქართველოს არ ჰყავს ოპოზიცია, საქართველოს ჰყავს მტრები „ნაცმოძრაობის“ სახით.

„ნაცმოძრაობის“ წევრები და რესპუბლიკელები არიან მთავარი „სკრიპკები“ საპარლამენტო ოპოზიციაში. ორივეს არაფერი გაუკეთებიათ არსებობის განმავლობაში ქვეყნისთვის ძირის გამოთხრის გარდა.

ამ სიაში ჩამოთვლილთაგან რომელიმე პატიოსანი, წერიერი, პატრიოტი კაცი ან ქალი დამისახელეთ.

რომან გოცირიძეს, გუბაზ სანიკიძეს, ანდა იმ მუჰამედისგან დალოცვილ ისმაილოვს, რა ასეთი ღრმა იდეები აწუხებთ საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციაში რომ უდგანან.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკა არ მოგვწონსო.

ვისაც არ მოსწონს, გადაავლოს თვალი დღევანდელ საპარალამენტო ოპოზიციას და მერე გააკრიტიკოს „ქართული ოცნება“ თავისი კანდიდატებიანად. ამათთან შედარებით „ოცნების“ კანდიდატები უცოდველი კრავებივით არიან.

ოპოზიციის სიის უმრავლესობა ქვეყნის წამღლეტი ყაჩაღების, ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრებულების, კუპონიზაციის დროს ჯიბეგასქელებულების, ჯალათების ბრიყვულად და უსინდისოდ გამპრავებლების და სხვის დაკრულზე მოყვირალების ჯგროა.

სიის დასაწყისში აკო მინაშვილია, რომელსაც ცხონებული რეზო ამაშუკელი „აკუკის“ ეძახდა.

ეს „აკუკი“ იყო „ნაცმოძრაობის“ უსამართლო რეჟიმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

დღემდე თვალწინ მიდგას მისი გავეშებული სახე სატელევიზიო გამოსვლებისას „ნაცმოძრაობის“ დიდების ზენიტში.

ბუბა კიკაბიძემ რომელი კანონების შემუშავებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგას სამართლებრივი სახელმწიფო კანონმდებლობა დღემდე „ჩიტო-გვრიტო“ ჰგონია და თუ ოდესმე მისულა პარლამენტში, მგონი, დღემდე გაოგნებულია — ეს სადა ვარო — სცენა და კაბინეტი ერთმანეთში ერევა...

ანა წითლიძის, დავით კირკიტაძის, ნერვებდაჭიმული თაკო ჩარკვიანის, ნიკა მაჭუტაძის და მისნაირების იმედზე იყოს მთელი „ნაცმოძრაობა“...

ამათ რა სახელმწიფო საქმე უნდა გადაწყვიტონ გიორგი ჭყონდიდელის ქვეყანაში...

მართლა დაგვცინის ბუნება, ეტყობა...

ანა ნაცვლიშვილის, ამ პირწავარდნილი ენჯეოშნიკი ლიბერალის ჭკუის სასწავლებელი რაღა გვჭირს, მის მიერ შემუშავებული კანონებით მაცხოვრებელი საქართველო სადაა, რომელ განედზე და გრძედზე...

ტარიელ ნაკაიძე მეჩეთების აშენებას რომ ითხოვდა აჭარაში და დანარჩენ საქართველოში და რელიგიური უმცირესობების უფლებების დამცველად რომ ზის პარლამენტში, რომელ დროში იყო საქართველოში განსხვავებული რელიგიის გამო ვინმეს დევნიდნენ, ეს ნაკაიძეც რომ აჰყოლია არასამთავრობებობის და ვითომ ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობების შემოგდებულ ფარისევლობას?!

ამაზე მოლა როგორ არ გაიცინებს ქედასა და შუახევში...

არავისი სასწავლებელი არაა საქართველოში არც განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის ადამიანების პატივისცემა და არც განსხვავებული იდენტობის ადამიანები გვიდევნია არასოდეს. ნაკაიძე გამოგვივიდა აქ ჭკუის და წესრიგის მასწავლებლად...

ჩემს თავში შევამჩნიე ამასწინათ: ბევრს ვუთმენ სხვებს საკუთარი თავის ზარალის ხარჯზე.

რომ ვაკვირდები ჩვენი ქვეყანაც ასეა. არადა, პრიორიტეტი უნდა იყოს, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის ინტერესები, მისწრაფებები, რელიგია და ცხოვრების წესი და არა ვიღაცის მითითებით, ვიღაცის მოსაწონებლად ყვირილი, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი აქტივობა, სხვისი წესით და დირექტივით ცხოვრება...

მის კისერზე იყოს, ვინაც ამათ ხმა მისცა არჩევნებში და ვისაც კირკიტაძის, მაჭუტაძის, ვინმე ჰერმან საბოს იმედი აქვს და ხელისუფლებაში მათი მოსვლა ურჩევნია „ქართული ოცნების“ მმართველობას...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დედოფალი მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!

„ეპოქის დასასრული“, — ასე შეაფასა ბრიტანულმა პრესამ დედოფალი ელიზაბეტ II-ის გარდაცვალება. სამი თვის წინ, ივნისში, აღნიშნეს ბრიტანეთში ელიზაბეტ II-ის მონარქად ყოფნის 70 წლის იუბილე და დაბადების დღეც. დედოფალი აპრილში იყო დაბადებული, მაგრამ დაბადებისა და ინაუგურაციის დღეს, ტრადიციულად, ივნისში აღნიშნავდა.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიმსახურა ელიზაბეტმა ხალხის სიყვარული, რადგან არანაირ საქმეს არ თაკილობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ქვეყანას. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას სამეფო ოჯახი ბუხრის დანთებასაც კი ერიდებოდა, რითაც სოლიდარობას უცხადებდა დაბალი ფენის მოსახლეობას. თუმცა ისიც გასახსენებელია, რომ ელიზაბეტის მამა, მეფე გეორგ VI გასული საუკუნის 30-იან წლებში, ვიდრე მსოფლიო ომი გაჩაღდებოდა, სიმპატიით იყო განწყობილი გერმანიის ნაცისტურ-ფაშისტური რეჟიმსადმი. დღეს ამას თითქმის აღარავინ იხსენებს.

დედოფლად ელიზაბეტ II დიდი ბრიტანეთის დედოფლად 1952 წელს გამოაცხადეს, ხოლო ინაუგურაციის ცერემონია 1953 წელს შედგა. ელიზაბეტი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, როდესაც მამამისი, გეორგ VI გარდაიცვალა და იგი სასწრაფოდ დაბრუნდა სამშობლოში. 1947 წელს, ჯერ კიდევ პრინცესამ, საჯაროდ დაიფიცა — რომ ერთგულად ემსახურებოდა ქვეყანას და ხალხს. ასეც მოხდა — მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ქვეყნისა და ხალხის სამსახურს. რთულ პერიოდში მოუხდა ტახტზე ასვლა ელიზაბეტ II-ს.

იყო ასეთი გამოთქმა: „დიდ ბრიტანეთში არასოდეს ღამდება“, რაც გულისხმობს ბრიტანეთის მაშინდელი ტერიტორიების სიდიდეს.

თუმცა ელიზაბეტმა საკმაოდ შემცირებული მონარქია ჩაიბარა — ბრიტანული კოლონიალიზმისგან უკვე გათავისუფლებული იყო ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ინდოეთი, ჩინეთი. მართალია, დღესაც მსოფლიოში 14 ქვეყანა ბრიტანეთის მონარქიის ქვეშევრდომად ითვლება, მაგრამ, ფაქტობრივად, დიდი იმპერია უკვე დაიკარგა. ერთ-ერთ მიზეზად გასული საუკუნის ორ მსოფლიო ომს აცხადებენ, რომლების შედეგადაც მოხდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება. აღსანიშნავია, რომ ელიზაბეტის დროს ბრიტანეთმა ჰონ-კონგი დათმო.

გასულ კვირას ინდოეთი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის 75 წლისთავს აღნიშნავდა, რითიც საბოლოოდ დაემშვიდობა კოლონიალიზმს. ამის მიუხედავად, ელიზაბეტ II-ის გარდაცვალების გამო ქვეყანაში ერთდღიანი გლოვა გამოაცხადეს.

კოლონიების გარდა ბრიტანეთმა დაკარგა პოლიტიკური ადგილი მსოფლიო რუკაზე. თუმცა ამაში დედოფლის დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან ქვეყანას პრემიერ-მინისტრი მართავს, მონარქი ნაკლებად ერევა პოლიტიკაში, მაგრამ ელიზაბეტის ავტორიტეტი სამყაროში უმაღლეს ნიშნულზე იყო. მან ეკონომიკური და სხვა სახის კრიზისების დაძლევაშიც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობისგან საომარი რიტორიკა ყოველთვის ისმოდა. ძნელია თქმა, რას აკეთებდა დედოფალი გამწვავებული ვითარების გასანეიტრალებლად. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში არგენტინასთან ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომი საერთოდაც არ დაუგმია.

დღემდე გაუგებარია, რა ფუნქციას ასრულებს მონარქი ბრიტანეთის მმართველობაში, მაგრამ მსოფლიოს პოლიტიკოსები თუ ცნობილი მოღვაწეები დიდ პატივად მიიჩნევდნენ დედოფალ ელიზაბეტ II-სთან შეხვედრას. დედოფალთან აუდიენცია მკაცრად გაწერილი წესებით მიმდინარეობდა, მაგრამ ცალკეული სახელმწიფო მოხელეები ზოგჯერ არღვევდნენ ეტიკეტს. ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტმა ზედიზედ ორჯერ დაარღვია ეტიკერი ელიზაბეტ II-სთან შეხვედრისას. მისი წინამორბედის, ბარაკ ობამას მეუღლემ მიშელმა, „ძმაკაცურად“ მოხვია ხელი, რითაც გააოცა დედოფალი.

ბრიტანეთის ისტორიაში მხოლოდ ერთეული მონარქები სარგებლობდნენ ხალხის ისეთი სიყვარულითა და პატივისცემით, როგორითაც ელიზაბეტ II. რიგითი ბრიტანელი არავის აპატიებდა დედოფლის აუგად ხსენებას. ერთი მაგალითი ისტორიიდან: როდესაც ინგლისის ნაკრები ფეხბურთში 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, დედოფალმა მედლების გადაცემისას მოთამაშეებს აკოცა, რაც მათთვის დიდი ჯილდო აღმოჩნდა.

პირად ცხოვრებაში დედოფალს გაუმართლა კიდეც და გულიც დაწყვიტეს ახლობლებმა. მეუღლე ფილიპი ყოველნაირად ხელს უწყობდა დედოფალს. ბავშვების აღზრდა მან იკისრა. ოფიციალურ ღონისძიებებზე ელიზაბეტს მუდამ მოშორებით მიყვებოდა, ამით დაწესებულ ეტიკეტს იცავდა. შვილებმა კი დედას გული ატკინეს. ჯერ პრინცი ჩარლზი გაეყარა მეუღლეს, პრინცესა დიანას, რომელიც მოგვიანებით ავარიაში დაიღუპა. მეორე, ყველაზე საყვარელი შვილი, ენდრიუ სექსუალურ სკანდალში ამხილეს. ამიტომ ელიზაბეტმა ყველა ტიტული ჩამოართვა. სამეფო ოჯახს აუმხედრდა შვილიშვილი ჰარი, რომელმაც მეუღლესთან ერთად აშშ-ში არჩია ცხოვრება. დედოფალს მისი დასჯაც მოუხდა — ყველა ტიტული ჩამოართვა და ვეღარც სამეფო ოჯახის სახელით ისარგებლებს. საერთოდ, სამეფო ოჯახის ინტრიგებზე ბრიტანეთში ცდილობენ, ნაკლები ილაპარაკონ, მაგრამ ბევრი ინფორმაცია თავადვე გამოაქვთ გარეთ, როგორც ჰარის ცოლმა მეგან მარკლმა გააკეთა. უნიკალური და განსაკუთრებული არათუ ბრიტანელები, სამეფო ოჯახის წევრებიც არ არიან.

ტახტზე ყოფნისას ელიზაბეტ II-მ ბრიტანეთის 15 პრემიერ-მინისტრი დანიშნა. პირველი გახლდათ ისტორიიდან ყველასთვის კარგად ცნობილი და დიდი პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი. ტრადიციულად, მოხსენებას, რომლითაც დედოფალი ყოველწლიურად გამოდის პარლამენტში, სწორედ პრემიერ-მინისტრები უწერდნენ. მონარქის შეცდომაში შეყვანის ალბათობა ყოველთვის იყო და არის. მოვალეობით ბოროტად სარგებლობის ფაქტი ელიზაბეტ II-ს დედოფლობის პერიოდში ორჯერ დაფიქსირდა — პირველად ტონი ბლერმა მიაწოდა მცდარი ინფორმაცია ერაყში შეჭრის თაობაზე. ახლახან სამარცხვინოდ გადაყენებულმა პრემიერმა ბორის ჯონსონმა იცრუა განხორციელებული „ბრექსიტის“ სიკეთეზე და წარმატებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა ორივე პრემიერ-მინისტრს შერჩა ტყუილი. მათთვის პასუხი არავის მოუთხოვია. ასეთია ბრიტანული საშინაო პოლიტიკა.

...გასულ სამშაბათს ელიზაბეტ II-მ ახალი პრემიერ-მინისტრი ელიზაბეტ ტრასი დანიშნა. წესისამებრ, დედოფალი ახალარჩეულ პრემიერს ბუკინგემის სასახლეში ხვდებოდა და იქ ამტკიცებდნენ თანამდებობაზე. ამჯერად ელიზაბეტი შოტლანდიაში, ბალმორალის სასახლეში იმყოფებოდა და შერყეული ჯანმრთელობის გამო ვერ შეძლო ლონდონში ჩასვლა, ამიტომ ჯონსონს და ტრასს შოტლანდიაში მოუხდათ ჩასვლა და დედოფალთან აუდიენცია იქ შედგა.

ახალი პრემიერის დანიშვნიდან ორი დღის შემდეგ, ხუთშაბათ დილას, გავრცელდა ინფორმაცია დედოფლის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. 96 წლის ელიზაბეტის ავადმყოფობა თავდაპირველად არავის გაკვირვებია. ბრიტანულმა პრესამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დედოფლის ოჯახის წევრები, შვილები და შვილიშვილები სასწრაფოდ გაემგზავრნენ შოტლანდიაში. დღის მეორე ნახევარში BBC-ის წამყვანებს შავ სამოსში გამოწყობილებს მიჰყავდათ გადაცემები. საღამოს ახალმა პრემიერმა ტრასმა მიიღო კოდური შეტყობინება: „ლონდონის ხიდი ჩაინგრა“, ასე აუწყეს დედოფალ ელიზაბეტ II-ის გარდაცვალება. დედოფლის გარდაცვალების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ ლონდონის მოსახლეობა ბუკინგემის სასახლესთან შეიკრიბა... გარდაცვლილი დედოფლის პატივსაცემად ქვემეხებიდან 96 გასროლა განახორციელეს, იმდენი, რამდენი წლისაც ელიზაბეტი იყო.

ბალმორალის სასახლიდან ელიზაბეტ II-ის ცხედარი მანქანების ესკორტის თანხლებით ედინბურგში გადაასვენეს, საიდანაც თვითმფრინავით ლონდონში გადაიყვანეს. ელიზაბეტ II ორშაბათს, 19 სექტემბერს დაკრძალავენ მეუღლის, ფილიპის გვერდით, რომელიც შარშან 99 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დაკრძალვის ცერემონია 18 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო 19-ში გადაიტანეს. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II-ის დაკრძალვის ცერემონიის სცენარი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს იყო გაწერილი, რაც თითქმის არ შეცვლილა.

დასრულდა პრინც ჩარლზის მემკვიდრედ ყოფნის 50-წლიანი პერიოდი. სწორედ იგი გამოაცხადეს ბრიტანეთის მეფედ და ოფიციალურად დაარქვეს კარლ III. ინაუგურაცია, წესისამებრ, მოგვიანებით, შესაძლოა, რამდენიმე თვის შემდეგაც გაიმართოს. მეფედ გამოცხადების ცერემონიაზე წმინდა პავლეს ტაძარში პირველად გაისმა: „ღმერთო, დაიფარე მეფე“ და არა დედოფალი. სამეფო ოჯახის წევრები გლოვის გამო ოფიციალურ ცერემონიებში არ მონაწილეობენ. პრინცი ჩარლზი, ახლა უკვე კარლ III, მეფედ სენ-ჯეიმსის სასახლეში გამოაცხადეს. სამეფო გვარდია ახალ მეფეს მიესალმა, მის პატივსაცემად ქუდები მოიხადეს. განხორციელდა ქვემეხების საზეიმო ზალპი. გლოვის ნიშნად დაშვებული დროშები ახალი მეფის გამოცხადების ნიშნად ერთი დღით კვლავ აღმართეს. ძველი არქაული წესებით კარლ III მეფედ განსაკუთრებულმა საბჭომ დაამტკიცა, რაც ტელევიზიით გადაიცემოდა. მეფედ გამოცხადების ცერემონია 10 წუთზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა. მემკვიდრედ მეფის უფროსი შვილი უილიამი დაასახელეს. კარლ III ფიცი დადო და მოკლე სიტყვით მიმართა მოსახლეობას.

ერთ კვირაში ბრიტანეთში ხელისუფლება სრულიად შეიცვალა. ახალ მეფესთან ერთად ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს ქვეყანას. ელიზაბეტ ტრასმა უკვე განახორციელა აუდიენცია კარლ III-სთან. სავარაუდოდ, შედგა ზოგადი საუბარი. მეფეს მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად. მართალია, ფინანსურად საწუწუნო არაფერი აქვს, რადგან 370 მილიონი გირვანქა სტერლინგი დარჩა სხვა უამრავი ქონების გარდა. სამაგიეროდ, მოსახლეობაში არაპოპულარულია 73 წლის ახალი მეფე. მისთვის ჯერ კიდევ ვერ უპატიებიათ პრინცესა დიანასთან განქორწინება. ქვეყანა ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისის ზღვარზეა. თუმცა ყველა პრობლემა ჯერჯერობით დედოფლის გარდაცვალებამ გადაფარა.

ქვეყანაში პოპულარობით ვერც ახალი პრემიერ-მინისტრი ელიზაბეტ ტრასი დაიტრაბახებს, პრემიერის თანამდებობა მან პარტიის შიდა არჩევნების წყალობით დაიკავა. 70-მილიონიან ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრი კონსერვატიული პარტიის 80 ათასმა (!) წევრმა აირჩია. ასეთია იქაური კანონები. რამდენად სამართლიანია, ეს განსჯის თემაა. ამას გარდა, ტრასი ხშირად იცვლის პოზიციას. ერთხანს განიარაღების მომხრემ, ახლახან განაცხადა, რომ მზად არის, გამოიყენოს ბირთვული იარაღი. ახალგაზრდობაში ტრასი მონარქიული წყობის წინააღმდეგ ილაშქრებდა და მის შეცვლას ითხოვდა. პოლიტოლოგები უკვე მსჯელობენ, როგორ ითანამშრომლებენ ახალი მეფე და პრემიერ-მინისტრი. ხომ არ ისარგებლებს ტრასი კარლ III-ის შედარებით ნაკლები გავლენით და რაიმე ხრიკს ხომ არ მოუწყობს? მართალია, დედოფალი გარდაიცვალა, რითაც 70-წლიანი ეპოქა დასრულდა, მაგრამ დაიწყო ახალი ერა, ანუ „დედოფალი მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!“. ახლა გამოჩნდება, დარჩება თუ არა ბრიტანეთი დღევანდელ საზღვრებში. შოტლანდიაში სერიოზულად ფიქრობენ ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობას, გაისად რეფერენდუმის ჩატარებასაც აპირებენ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, რაც ელიზაბეტ II-ის დაკრძალვის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდება. ერთიც სათქმელია — ყველა დიდი ქვეყნის გაფეტიშება გაუმართლებელია, ჩვენ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ უნდა ვიფიქროთ და რეალური სუვერენიტეტი მოვიპოვოთ.

გია ბურდული
551 71 27 07

ირანი – ჩვენი მეზობელი

ირანი გუშინ, დღეს, ხვალ

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ.“ N22-29)

ინგლისისა და ამერიკის ჯარები საბერძნეთში დიდძალი საომარი ტექნიკით, — ავიაციით, ტანკებითა და არტილერიით შეიჭრნენ და შეებნენ ბერძენთა პროსაბჭოთა, პარტიზანულ არმიას, რომელსაც ავიაცია საერთოდ არ ჰყავდა, თითქმის არ ჰყავდა ტანკები და ჰქონდა სუსტი არტილერია.

ბერძნები დამარცხდნენ. ომში თითქმის 100 000 ბერძენი დაიღუპა, მილიონზე მეტმა ბერძენმა კი სამშობლოდან გაქცევით უშველა თავს. ინგლისმა და ამერიკამ საბერძნეთში თავიანთი მორჩილი მარიონეტული პარტია შექმნეს, ხელისუფლებაში დასვეს და საბერძნეთი თავიანთ ხელქვეით, მოკავშირე სახელმწიფოდ და ნახევრადკოლონიად აქციეს.

ამის შედეგ კი ირანის ჯერიც დადგა.

ამერიკელთა ატომური შანტაჟის ქვეშ მყოფმა სტალინმა ირანიდან ჯარი სრულად გაიყვანა. წასვლისას რუსებმა თავიანთ მთავარ მოკავშირესა და დასაყრდენს, სამხრეთი აზერბაიჯანის პროსაბჭოთა მთავრობასა და მის არმიას დიდძალი საბრძოლო მარაგები და ტექნიკა დაუტოვეს, მათ შორის არტილერია და ტანკებიც კი და დაუბარეს, თქვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება თქვენ თვითონ დაიცავითო. კარგად აღჭურვილი და ამბოხებული სამხრეთი აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები ირანის შაჰის არმიას თითქმის გაუტოლდა. თეირანის ცენტრალურ ხელისუფლებას კი პირდაპირი შეტევით თავრიზის დამარცხების ძალა არ ჰქონდა. ირანის სამხრეთ ნახევარში მდგომი ინგლისის საოკუპაციო ჯარი კი ამ ომში არ ერეოდა, რადგან ბრიტანეთმა შაჰს შეატყობინა: რუსები მოგაშორეთ, ახლა თქვენს ქვეყანას თვითონ მიხედეთო.

1946 წელი იწურებოდა. ირანის შაჰმა მოჰამად რეზა შაჰ ფეჰლევიმ სამხრეთი აზერბაიჯანის პროსაბჭოთა მთავრობას შეუთვალა: მოლაპარაკებებზე გეპატიჟებით, ჩამობრძანდით, მზად ვარ შეგირიგდეთ, ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს და მის შედგომ ბედზე ერთად უნდა ვიფიქროთო.

სამხრეთი აზერბაიჯანის პროსაბჭოთა მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა, აზერბაიჯანის სახალხო პარტიის („ტუდე“-ს) ცენტრალური კომიტეტის წევრმა და წარსულში ირანში ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელმა ჰაბიბოლა ფურუნგიანმა, რომელიც ბავშვობაში ირანის შაჰს პირადად იცნობდა, მასთან ერთად სწავლობდა ელიტარულ სკოლაში და მომავალ შაჰთან ერთად ფეხბურთიც კი ჰქონდა ნათამაშევი, მოჰამად შაჰის ლამაზ-ლამაზი სიტყვები არ დაიჯერა, შაჰთან წასვლაზე უარი თქვა და ამით მტანჯველ სიკვდილს გადაურჩა. სამხრეთი აზერბაიჯანის პროსაბჭოური მთავრობის დანარჩენი წევრები კი შაჰთან შეხვედრაზე წავიდნენ. შაჰის მცველებმა ისინი შეიპყრეს და მხეცურად დახოცეს.

ამის შემდეგ შაჰის არმია დაუყოვნებლივ შეიჭრა აზერბაიჯანში. თავდასხმა პროსაბჭოელთათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, აზერბაიჯანელთა ჯარი შაჰის არმიას უიარაღოდ დახვდა, ხოლო მისი იარაღის, ტექნიკისა და საბრძოლო მარაგების 9/10 შაჰს საწყობებში შენახული ჩაუვარდა ხელში. ისედაც ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილმა აზერბაიჯანელებმა ამის გამო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს და შაჰის არმიამ ირანის აზერბაიჯანელთა პროსაბჭოთა სეპარატისტული მოძრაობა სისხლში ჩაახშო.

სეპარატისტებს ტყვიებით ხვრეტდნენ, ხმლებით ჩეხდნენ, სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ და ცემით კლავდნენ. თავრიზისაკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს ეკიდნენ სიკვდილით დასჯილები; მათგან ბევრს პირი ამოკერილი ჰქონდა...

ამის შემდეგ მთელ ირანს გადაუარა კომუნისტთა და დემოკრატთა ჟლეტის ტალღამ, რომელიც 1947 წლის შუახანებში დამთავრდა პროსაბჭოთა პარტიების სრული განადგურებით.

ახალგაზრდა ჰაბიბოლა ფურუნგიანმა, როცა დაინახა, საქმე წაგებულიაო, თავის მეგობრებთან ერთად რუსულ ტანკში ჩაჯდა, შაჰის ჯარისკაცთა რკალი ბრძოლით გაარღვია და საბჭოთა კავშირში გადაიხვეწა. მის გარდა კიდევ ასობით და ათასობით კომუნისტმა და დემოკრატმა შეძლო საბჭოთა კავშირში გაქცევა. მათ იქ თავშესაფარი მისცეს. ჰაბიბოლა ფურუნგიანი უკვე საბჭოთა კავშირში შევიდა ირანის კომუნისტურ პარტიაში და იქ მესამე კაცი გახდა.

სხვებზე უფრო განათლებული ირანელები საბჭოთა ხელისუფლებამ თავის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო სამსახურში. ისინი მომავალ საბჭოთა ირანოლოგებს სპარსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ. ესენი იყვნენ არაჩვეულებრივად პატიოსანი ადამიანები და პატრიოტები, რომლებიც ოცნებობდნენ ოდესმე სამშობლოში დაბრუნდებოთო.

მათი პატრიოტული გრძნობები მოჩვენებითი არ იყო, მაგალითად, სპარსული ენის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელიც ირანში გასაგზავნ მომავალ რუს დიპლომატებს ასწავლიდა, ახმედ ქერიმის ძე მამადზადე, ყოველ დღე ყოვნდებოდა ხოლმე ლინგაფონის კაბინეტში. მისი სტუდენტების გარდა ამას არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ალბათ, მოსწავლეთათვის ახალ ჩანაწერებს კარნახობსო. სტუდენტები კი შეშინდნენ, იფიქრებს, ეს კაცი გამოცდებისთვის რაღაც ახალ, უსიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებსო და გადაწყვიტეს, მოვუსმინოთ, ვნახოთ, იქ რა ამბებს ატრიალებსო. ლაბორანტი დაითანხმეს, კაბინაში დასხდნენ, ყურსასმენები გაიკეთეს და შეძრწყუნდნენ: ყურსასმენებში ჟღერდა გულსაკლავი სიმღერა, რომელიც სიკვდილის წინ დაწერა ირანელმა კომუნისტმა გენერალმა. ის ამ სიმღერით თავის მცირეწლოვან გოგონას მიმართავდა:

„მაკოცე! მაკოცე! უკანასკნელად!
და, დაე, დაგიფაროს ღმერთმა,
რადგან მე მივდივარ ბედისწერის შესახვედრად“.

აპმედ მამადზადე, ეს ღრმად მოხუცებული ბერიკაცი, ძალზე ღარიბულად ცხოვრობდა მოკრძალებული საბჭოთა ხელფასით. საკუთარი მაგნიტოფონის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა და ამიტომ გაკვეთილების შემდეგ ლინგაფონის კაბინეტში მიდიოდა, თავისი ნაღვლიანი ახალგაზრდობის სიმღერას უსმენდა, ტიროდა და შემდეგ მიდიოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბოძებულ პაწაწინა, ერთოთახიან ბინაში.

ეს ხალხი თავისი ცხელი სამშობლოს - ირანის მონატრებით, ღრმა ნოსტალგიით იყვნენ გაჟღენთილნი და გამუდმებით ოცნებობდნენ უკან, შინ დაბრუნებაზე.

ირანი აყვავდა, გამდიდრდა და „შუა აღმოსავლეთის იაპონიად“ იქცა

(1950-78 წლები)

1950-იანი წლების დასაწყისისთვის მოჰამად რეზა ფეჰლევიმ შეძლო და თავისი ქვეყნის შემოსავლის ნახევარს, 50% დაეუფლა. მეორე ნახევარი კი ამერიკელებმა და მათმა ხელქვეითმა მოკავშირეებმა: ინგლისელებმა, ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა ჩამოირიგეს.

ნავთობის შემოსავლის ნახევარი, ასობით მილიონი, შემდეგ კი მილიარდობით დოლარი აღმოჩნდა. შაჰმა ეს ფული ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას დაახარჯა და ირანი ერთბაშად მდიდარ ქვეყანად იქცა. ირანელებმა კეთილდღეობაში ცხოვრება დაიწყეს.

1960-იან წლებში მოჰამად რეზა შაჰ ფეჰლევიმ რადიკალური რეფორმების პროგრამა დაიწყო, რომელსაც „თეთრი რევოლუცია“ უწოდა. სახელმწიფომ მემამულეთაგან და უცხოელთაგან მიწა გამოისყიდა და გლეხებს განვადებით მიჰყიდა საბაზრო ფასზე 30%-ით, ანუ თითქმის 1/3-ით უფრო იაფად. 1970-იანი წლების დასაწყისისათვის მიწა მიიღო, დაახლოებით, 1, 02 მილიონმა გლეხურმა ოჯახმა. იმავდროულად სახელმწიფომ უცხოელთაგან და მემამულეთაგან ტყეები და საძოვრები გამოისყიდა და ისინი მოსახლეობას გადასცა უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში. სახელმწიფომ ახალი სარწყავი სისტემები გაიყვანა და მოსახლეობას წყლით უფასო სარგებლობის უფლება მისცა. ამ ღონისძიებათა შედეგად ირანში საკვები პროდუქციის წამოება ძალზე გაიზარდა და ირანში ბევრი, ძალზე მაღალხარისხიანი და იაფი სურსათ-სანოვაგის წარმოება დაიწყეს.

შაჰმა ნავთობდოლარებით ფართო ინდუსტრიალიზაცია ჩაატარა. დასავლეთიდან და საბჭოთა კავშირიდან ნაყიდი ტექნოლოგიებითა და მოწვეულ-დაქირავებულ სპეციალისტთა საშუალებით სპარსელებმა თანამედროვე ელექტროსადგურები, ნავთობქიმიური, მეტალურგიული, ავტომობილმშნებელი, თვითმფრინავმშენებელი და გემთმშენებელი ქარხნები აიშენეს. ნავთობდოლართა წვიმის წყალობით განავითარეს სატრანსპორტო სისტემა, საავტომობილო და სარკინიგზო ქსელები გააფართოვეს და საზღვაო პორტების გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გაზარდეს. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებში მუშები მოგებიდან წილს იღებდნენ.

შაჰი არმიას, ფლოტსა და სამხედრო-საჰაერო ძალებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მათ უხვად აფინანსებდა და ამის წყალობით ირანის შეიარაღებულ ძალებს საუკეთესო აღჭურვილობა და გაწვრთნა, თანამედროვე შეიარაღება და კარგი მატერიალური უზრუნველყოფა ჰქონდათ.

რეფორმები სოციალურ სფეროზეც გავრცელდა. ღარიბი და საშუალო შეძლების მოსახლეობისათვის ასობით და ათასობით კლინიკა, საავადმყოფო, სკოლა და უმაღლესის სასწავლებელი ააშენეს. ჯანდაცვისა და განათლების სისტემები გაფართოვდა. ქალებმა ყველა სფეროში მამაკაცებთან თანაბარი უფლებები მიიღეს. თანამდებობები დაიკავეს და ჩადრის გარეშე დაიწყეს სიარული, რამაც ისლამური სამღვდელოება ძალზე განარისხა. ირანი ევროპული ქვეყანა ხდებოდა, ხოლო ირანელებმა — ევროპელებად, ცივილიზებულ ხალხად გადაქცევა დაიწყეს.

საგარეო პოლიტიკაში შაჰი აშშ-ს ემხრობოდა და მისი ხელქვეითი მოკავშრე იყო. ამერიკელებს ირანში 50 000-იანი არმია ჰყავდათ და თავიანთი სამხედრო ბაზები ჰქონდათ. რეგიონში ირანი მათი მთავარი მოკავშირე და დასაყრდენი სამხედრო ბაზა გახდა.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა იმ წლებში ირანს ნორმალური ჰქონდა. სპარსელები რუსებს მეგობრებად არ თვლიდნენ, მაგრამ მშვიდად ეკიდებოდნენ და საბჭოთა კავშირს ფილოსოფიურად აღიქვამდნენ, როგორც გარდაუვალ ბოროტებას.

ეკონომიკა და სოციალური სფერო 1970-იან წლებში უკვე მწვერვალებს აღწევდა. ირანში ღარიბი და მშიერი მოსახლეობა აღარ დარჩა. მოსახლეობაში გაჩნდა ნაკლებად შეძლებული, შეძლებული, მდიდარი, ან ძალიან მდიდარი ფენები, ირანელები ამაყობდნენ თავიანთი ქვეყნით, რომელსაც მსოფლიო პრესამ იმ წლებში „შუა აღმოსავლეთის იაპონია“ შეარქვა.

მოჰამედ რეზა შაჰ ფეჰლევიმ ნავთობდოლარების სამშობლოსათვის გადანაწილების დროს არც საკუთარი თავი დაივიწყა და უზომოდ გამდიდრდა. იგი დამოუკიდებელ ეკონომიკას აშენებდა და მცოდნე ხალხის პრონოზებით, 1994 წლისათვის ირანი, თავისი ეკონომიკის დონით, მსოფლიოში მე-5 ქვეყანა ხდებოდა აშშ-ის, იაპონიის, ინგლისისა და საფრანგეთის შემდეგ.

ამერიკელთა ფარული ომი ირანში თავიანთი მარიონეტი დიქტატორის დასასმელად

(აიათოლა ჰომეინი შაჰის დასამხობი იარაღი ამერიკელთა ხელში)

მიუხედავად იმისა, რომ 1946-78 წლებში განსაკუთრებით კი 1970-78 ნლებში ირანი არნახულად ყვაოდა. მისი მოსახელობის ხელში დიდმა სიმდიდრემ მოიყარა თავი, თუმცა ქვეყანაში მაინც მოქმედებდნენ ქვეყნის ამაყვავებლისა და გამამდიდრებლის მოჰამედ რეზა შაჰ ფეჰლევისადმი მტრული ძალები.

ისინი იატაკქვეშეთში იმყოფებოდნენ, მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო „ირანელი ხალხის მოჯახედთა ორგანიზაცია“, შემეოკლებით, „იხმო“, რომელშიც, მემარცხენე რადიკალები და ახალგაზრდა ინტელიგენციია იყო გაერთიანებული. მათი იდეოლოგია იყო კომუნისტური, თუმცა საბჭოთა კავშირისადმი მტრული, ტროცკიზმისა და კუბელი კომუნისტი პარტიზანის ჩე გევარას მსოფლმხედველობის ნაზავი. „იხმელთაგან“ ბევრი გადიოდა წვრთნას პალესტინელთა ბანაკებში, სადაც ნასწავლი ჰქონდათ სიკვდილის არად ჩაგდება და კონსპირაციისა და ტერორის საქმე. ისინი დროდადრო რაღაცას აფეთქებდნენ და ვიღაცას ესროდნენ. შაჰის უშიშროების სამსახური, ანუ „სავაკი“ მათ ამისთვის მათ იჭერდა, საწამებელ ძელზე ძვლებს უმტვრევდა და სასამართლო ფორმალობების გარეშე ვერტმფრენებიდან, ღამის საფარველქვეშ, ხელფეხშეკრულებს დიდი სიმაღლიდან ჰყრიდნენ თეირანსა და ყუმს შორის მდებარე უსიცოცხლო, მარილიან ტბაში.

(გაგრძელება იქნება)

მეცნიერთა მტკიცებით, სიცოცხლე მხოლოდ ნახშირბადისა და მოლეკულების ნაზავია

მეგობრის გარდაცვალების შემდეგ, ალბერტ აინშტაინმა თქვა: "მან, დატოვა ეს უცნაური სამყარო, ცოტათი გამასწრო. არაფერია, ჩვენნაირმა ადამიანებმა იციან, რომ განსხვავება წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის მხოლოდ ჯიუტი და შეუვალი ილუზიაა".

ექიმი, მეცნიერი რობერტ ლანცა დარწმუნებულია, რომ აინშტაინი მართალი იყო, სიკვდილი მხოლოდ ილუზიაა. მიგვაჩნია, რომ ეს სამყარო-რაღაც ობიექტური რეალობა, დამკვირვებლისგან დამოუკიდებელია. ვფიქრობთ, რომ სიცოცხლე მხოლოდ ნახშირბადისა და მოლეკულების ნაზავია: რაღაც დროის განმავლობაში ვცოცხლობთ, შემდეგ მიწაში ვიხრწნებით. გვჯერა სიკვდილის იმიტომ, რომ ასე გვასწავლეს. და კიდევ იმიტომ, რომ საკუთარ თავს ვაიგივებთ ფიზიკურ სხეულთან და ვიცით, სხეული კვდება და გაგრძელება არ არსებობს.

ბიოცენტრიზმის თეორიის ავტორ რობერტ ლანცას წარმოდგენით, სიკვდილი არ შეიძლება იყოს დასასრული, როგორც ჩვენ მიგვაჩნია. მაგალითისთვის შეიძლება გამოგვადგეს ამინდი. ვხედავთ ცისფერ ცას, მაგრამ ცვლილებამ ტვინის უჯრედებში შეიძლება შეცვალოს ეს აღქმა და ცა მოგვეჩვენება მწვანედ ან წითლად. გენური ინჟინერიის დახმარებით შევძლებთ ყველაფრის წითლით ვიბრირებას, ხმაურს ან გარეგნული მომხიბვლელობის სრულყოფას. ვფიქრობთ, რომ ახლა დგას ნათელი, მაგრამ თუ ნეირონულ კავშირებს შევცვლით, გარშემო ყველაფერი ჩაბნელებული მოგვეჩვენება. იქ, სადაც ცხელა და ტენიანობაა, ტროპიკულ ბაყაყს სცივა და სიმშრალეა. ეს ლოგიკა მისაღებია პრაქტიკულად ყველაფრისთვის. ლანცა ზოგიერთი ფილოსოფოსის მსგავსად ასკვნის: რასაც ვხედავთ, ჩვენი ცნობიერების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. რასაც ახლა ვხედავთ და ვგრძნობთ, ჩვენ სხეულსაც კი, არის ინფორმაციის ნაკადი, რომელიც გონებაში იბადება. ბიოცენტრიზმის თანახმად, სივრცე და დრო არ გახლავთ მყარი, ცივი ობიექტები, როგორც მიაჩნიათ, არამედ ინსტრუმენტებია, რომელიც ყველაფერს აერთიანებს. ლანცა გვთავაზობს შემდეგი ექსპერიმენტის შეხსენებას: როცა მეცნიერთა მეთვალყურეობის ქვეშ ელექტრონები გადის ბარიერის ორ ხვრელში, მაშინ მოქმედებს ტყვიების მსგავსად და პირველ ან მეორე ხვრელში გადის. მაგრამ თუ მათ არ შევხედავთ ბარიერში გავლისას, ისინი ტალღებივით მოქმედებს და შეუძლია ერთდროულად ორივე ხვრელში გავლა. გამოდის, უმცირეს ნაწილაკს შეუძლია შეცვალოს თავისი ქმედება იმისდა მიხედვით, უცქერენ მას თუ არა? ბიოეთიკის მომხრეთა აზრით, პასუხი აშკარაა: რეალობა პროცესია, რომელიც ჩვენს ცნობიერებას მოიცავს. მარადიულ, უკიდეგანო სამყაროში სიკვდილი არ არსებობს. უკვდავება არ ნიშნავს მარადიულ არსებობას დროის გარეშე.

შეიძლება კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა კვანტური ფიზიკიდან. ჰაიზენბერგის გაურკვევლობის პრინციპის გახსენებით, თუ არსებობს სამყარო, რომელშიც ბრუნავს ნაწილაკები, ჩვენ უნდა გვქონდეს საშუალება გავზომოთ მათი ყველა თვისება, თუმც ეს შეუძლებელია. მაგალითად, შეუძლებელია ერთდროულად ნაწილაკის მდებარეობის და მისი იმპულსების განსაზღვრა. ჩვენი სწორხაზოვანი აზროვნებით, წარმოდგენა დროზე ასევე არ შეესაბამება ექსპერიმენტების საინტერესო სერიას. 2002 წელს მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ფოტონებმა წინასწარ იცოდნენ, რას გააკეთებდნენ მათ შორს არსებული "ტყუპები" მომავალში. მკვლევარებმა შეამოწმეს წყვილ ფოტონებს შორის კავშირი. ერთ მათგანს ნება მისცეს, დაესრულებინა მოგზაურობა — უნდა "გადაეწყვიტა" მოქცეულიყო ტალღასავით ან ნაწილაკივით. მეორე ფოტონისთვის მეცნიერებმა გაზარდეს მანძილი, რომელიც აუცილებლად უნდა გაევლო, რათა მიეღწია თავისი დეტექტორისთვის. გზაზე დადგეს შიფრატორი ნაწილაკად გადაქცევის აღსაკვეთად. პირველმა ფოტონმა რატომღაც "იცოდა" რას აპირებდა მკვლევარი, ისე, თითქოს მათ შორის არ არსებობდა სივრცე და დრო. ფოტონი არ იღებდა გადაწყვეტილებას, რად ქცეულიყო, ნაწილაკი თუ ტალღა, მანამდე, სანამ მისი ტყუპისცალი გზაზე არ შეეჯახებოდა შიფრატორს.

"ექსპერიმენტები თანმიმდევრულად ამტკიცებს, რომ ეფექტები დამკვირვებელზეა დამოკიდებული. ჩვენი გონება და მისი ცოდნა ერთადერთია, რომელიც არკვევს თუ როგორ იქცევა ნაწილაკები", — ამბობს ლანცა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ექსპერიმენტის ფარგლებში, რომელიც 2007 წელს ჩატარდა საფრანგეთში, მეცნიერები ისროდნენ ფოტონებს აპარატში, რათა მოეხდინათ რაღაც უჩვეულოს დემონსტრირება: მათ მოქმედებას შეუძლია უკანა რიცხვით შეცვალოს ის, რაც უკვე მოხდა წარსულში. როცა ფოტონები გადადიოდნენ ჩანგლის საშუალებით აპარატში, მათ უწევდა გადაწყვეტილების მიღება, მოქცეულიყო როგორც ნაწილაკები ან როგორც ტალღები სხივის გამყოფზე მოხვედრისას. მოგვიანებით, როცა ფოტონებმა გაიარეს ჩანგალი, ექსპერიმენტატორს სრულიად შემთხვევით შეეძლო ჩაერთო ან გამოერთო სხივის გამყოფი. ცხოვრება-თავგადასავალი, რომელიც სცდება ჩვენი სწორხაზოვანი აზროვნების ზღვარს. როცა ვკვდებით, ეს შეთხვევით არ ხდება. კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს ცდები ეხება მხოლოდ კვანტურ სამყაროს და მიკროსკოპულ ნაწილაკებს. თუმც ლანცას კონტრარგუმენტის სახით მოჰყავს 2009 წელს ჟურნალ **Nature**-ში გამოქვეყნებული სტატია, სადაც ნათქვამია, რომ კვანტური ქცევა ვრცელდება ყოველდღიურ სფეროზეც. სხვადასხვა ექსპერიმენტები ასევე აჩვენებს, რომ კვანტური რეალობა სცდება "მიკროსკოპული სამყაროს". ჩვეულებრივ, ჩვენ უარვყოფთ მრავალი სამყაროს არსებობის კონცეფციას, როგორც მხატვრულ გამონაგონს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს შესაძლებელია იყოს მეცნიერულად დადასტურებული რეალობა. კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი პრინციპი ამბობს, რომ დაკვირვების აბსოლუტური





პროგნოზირება შეუძლებელია-საუბარია შესაძლო დაკვირვებებზე სხვადასხვა ალბათობით. "მრავალი სამყაროს" თეორიის ერთი ძირითადი ინტერპრეტაცია არის ასეთი: ყოველი ასეთი შესაძლებელი დაკვირვება შეესაბამება (მულტისამყაროს) ცალკე სამყაროს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უთვალავ სამყაროსთან. რაც შეიძლება მოხდეს, ხდება რომელიმე მათგანში. ყველა შესაძლო სამყარო არსებობს ერთდროულად, იმისგან დამოუკიდებლად რა ხდება რომელიმე მათგანში. სიკვდილი ამ სცენარებში არ არის უცვლელი"რეალობა". როცა ვკვდებით, ეს შემთხვევით კი არა, არამედ გარდაუვალი სასიცოცხლო ციკლის მატრიცაში ხდება. სიცოცხლე არ არის სწორხაზოვანი. რობერტ ლანცას აზრით, ის მრავალწლიან ყვავილს ჰგავს, რომელიც სულ ხელახლა იზრდება და ყვავის ჩვენი მულტისამყაროს ერთ-ერთ სამყაროში. სული არ კვდება, ის უბრუნდება სამყაროს, — ასე ფიქრობს ზოგი მეცნიერი. მრავალი საუკუნეა, რაც ფილოსოფოსები და მეცნიერები აყენებენ ადამიანის სულის უკვდავების თეორიებს. სხვადასხვა სფეროს მეცნიერები ცდილობენ გაარკვიონ სულის ამოუცნობი ბუნება. ზოგს მიაჩნია, რომ ტვინი კომპიუტერს ჰგავს, ხოლო ადამიანის გონება პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც აქტიურდება ბიოკვანტური კომპიუტერ-ტვინის საშუალებით. გამოდის, სული არ კვდება, ის სამყაროში არსებობას აგრძელებს სიკვდილის შემდეგ. მკვლევარები ცნობიერების ბუნებასა და სულის შეცნობასთან ახლოს არიან. თვლიან, რომ კვანტური ვიბრაციები არსებობს ტვინის ნეირონების მიკროტუბულებში. 1996 წელს, ორი ცნობილი მეცნიერი როჯერ პენტროუზი (ფიზიკა-მათემატიკოსი) და სტიუარტ ჰამეროფი (ანესთეზიოლოგი) მუშაობდა ტვინის ცნობიერების კვანტურ თეორიაზე. ორივე მკვლევარს მიაჩნია, რომ ადამიანის ტვინი წარმოადგენს ბიოლოგიურ კომპიუტერს. ხოლო ადამიანის ცნობიერება-პროგრამა, რომელსაც მართავს ტვინის შიგნით არსებული კვანტური კომპიუტერი, აგრძელებს არსებობას ჩვენი გარდაცვალების შემდეგ. დოქტორი ჰამეროფი სულის ანალიზზე მსჯელობისას, ამტკიცებდა, რომ როცა გული ცემას წყვეტს, მიკროტუბულები კარგავს თავის კვანტურ მდგომარეობას. თუმც მასში არსებული კვანტური ინფორმაცია არ ნადგურდება, ხდება მისი გაშლა სამყაროში. შესაძლოა, სული გადადის პარალელურ სამყაროში. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ადამიანის რეანიმირება, მაშინ ინფორმაცია უმალ უბრუნდება მიკროტუბულებს, მაგრამ თუკი ეს არ მოხერხდა, მაშინ ადამიანი კვდება და ინფორმაცია აგრძელებს არსებობას სულის სახით სხეულის გარეთ. მეცნიერთა ეს თეორია მიუთითებს, რომ ადამიანის სული უფრო მეტია ვიდრე ნეირონების უბრალო ურთიერთქმედება ტვინში და ის არსებობდა დროის ათვლის საწყისიდან. შესაძლოა, ის არსებობს რეალობის სხვა დონეზე ან სრულიად სხვა სამყაროში.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69

* * *

— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?

- ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1- ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე 1) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/5/675,681 — ვებგვერდი, 11.10.2016წ.

11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

* * *

— განქორწინებული მეუღლე არ მაძლევს თანხმობას ჩვენი არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ. არადა, ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით შვედეთში. ბავშვიც იქ დაიბადა. შემდეგ მეუღლემ მიმატოვა და დაბრუნდა საქართველოში. მე შვედეთში მაქვს მაღალანაზღაურებადი სამსახური, ჩემი ვაჟიც იქ მყავს, დადის საბავშვო ბაღში და ა. შ. ბავშვი დაიბადა ჩვენი განქორწინების შემდეგ. მამას ის არასოდეს მოუკითხავს. მინდა ჩამოვიდე საქართველოში, მაგრამ იმის შიშით ვერ ჩამოვდივარ, რომ ვიცი, თანხმობას არ მომცემს ბავშვის უკან წამოყვანაზე, ოღონდ არა შვილის სიყვარულის გამო, არამედ, ჩემთან დაპირისპირების გამო, თორემ მას შვილი თვალითაც არ უნახავს. მითხრეს, რომ შეიძლება, ეს სასამართლო წესით დარეგულირდეს. როგორ მოხდება ეს?

— დიახ, ეს შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებობით, რომელიც ითვალისწინებს მშობლის ზოგიერთი უფლების შეზღუდვას. ძირითადად, სასამართლო პრაქტიკაში ზუსტად ამ ტიპის დავებია. კერძოდ, მოსარჩელეები ითხოვენ შვილის საზღვარგარეთ გაყვანისა და, ასევე, ბავშვის პასპორტის აღების ნაწილში მშობლის უფლების შეზღუდვას. ბუნებრივია, მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარე არასრულწლოვნის ინტერესებიდან.

* * *

— როგორ ხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირება?

— გმადლობთ შეკითხვისათვის. სოციალური დახმარების შესახებ ძალიან ბევრი განცხადება შემოდის გაზეთის რედაქციაში. რამდენადაც გაზეთის ფორმატი მომცემს საშუალებას, ვეცდები ეს თემა განვავრცო, მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით.

ბაზაში რეგისტრაციისათვის საჭიროა ოჯახიდან ერთ-ერთმა სრულწლოვანმა წევრმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს და დაწეროს განცხადება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.

ოჯახი მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულად ითვლება, თუ მას მინიჭებული აქვს სარეიტინგო ქულა.

სარეიტინგო ქულის მინიჭება უნდა მოხდეს განცხადებით, მიმართვიდან 3 თვის ვადაში.

განცხადების დაწერიდან 1 თვის განმავლობაში შესაბამის მისამართზე განმცხადებელს ოჯახში მიაკითხავს სოციალური აგენტი, რომელიც შეამოწმებს ოჯახის ქონებას, შემოსავალსა და ხარჯებს. შემოწმების შედეგად ივსება ოჯახის დეკლარაცია. შემდეგ კი ოჯახის შემოწმებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, ოჯახს მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ენიჭება სარეიტინგო ქულა.

სარეიტინგო ქულით განისაზღვრება ის, თუ რა სახის დახმარებას მიიღებს სახელმწიფოსაგან ოჯახი. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც მიმართულია მაძიებელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

საარსებო შემწეობის ოდენობა ეფუძნება ოჯახის წევრთა რაოდენობასა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის სიდიდეს.

საარსებო შემწეობა ინიშნება უფლების წარმოშობისთვიდან, საარსებო შემწეობის დანიშვნის შესახებ, ღატაკი ოჯახის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის მიღების უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან მეორე თვეს.

ოჯახის დეკლარაციის შევსებისას ოჯახის შემადგენლობაში არ უნდა იქნენ გათვალისწინებულნი შემდეგი პირები:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული, რომელსაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;

იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირი;

ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც სამხედრო სამსახურის შესრულებისას 3 დღეში ერთხელ მაინც ბრუნდება ოჯახში);

ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით წასული პირი;

სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი;

სპეციალიზებულ დაწესებულებაში სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი.

რამდენს შეადგენს ფულადი დახმარება?

2015 წლის 01 მაისამდე შეფასებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 57001-მდე, საარსებო შემწეობა შეადგენს:

ერთსულიანი ოჯახისათვის 60 ლარს;

ორ და მეტსულიანი ოჯახისთვის 60 ლარს დამატებული 48 ლარი ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე.

2015 წლის 01 მაისის შემდეგ შეფასებული ოჯახებისთვის ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია, განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე, განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 57001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე, განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 60001-ზე მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე, განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლის ასაკის წევრზე.



„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი

მიხეილ გომიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ პოეტის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ფოლკლორისტის

შარლოტა კვანტალიანის

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ ოჯახს და ქართულ საზოგადოებას.

„საერთო გაზეთი“

რა კავშირია ვულკანის ამოფრქვევასა და კლიმატის ცვლილებას შორის

207 წლის წინათ კუნძულ სუმბავაზე, ინდონეზიაში ვულკან ტამბორას მძლავრი ამოფრქვევა მოხდა. სტრატოსფეროში უზარმაზარი რაოდენობის ვულკანური ფერფლი და გოგირდის შენაერთები აიტყორცნა, რამაც დედამიწამდე მომავალი მზის რადიაცია მნიშვნელოვნად შეამცირა. შედეგად, მომდევნო, 1816 წელს გლობალური ტემპერატურა 0,4-0,7 გრადუსით დაეცა. იმავე წლის ივნისში დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში თოვლი მოდიოდა, ზაფხული კი არც დამდგარა.

გუბერნატორის ბრძანება

ჩვენი პლანეტის ისტორიაში ექსპლუზიურობისა და ატმოსფეროს დამტვერიანების ინდექსების მიხედვით უფრო ძლიერი ამოფრქვევებიც ყოფილა. მეცნიერებმა ზუთი ამგვარი ამოფრქვევა დაითვალეს. პირველი 2,5 მლნ წლის წინათ მოხდა ანდებში და 35X25 კმ ღრმული დატოვა, რომლის მოცულობა 2000 კუბ. კმ-ია. სხვადასხვა ქანების, მტვრისა და გოგირდის უზარმაზარი მასა ატმოსფეროში 30 კმ სიმაღლეზე აიტყორცნა. უკანასკნელი ამ მეგაკოლოსალური ამოფრქვევებიდან 27 ათასი წლის წინათ მოხდა და ატმოსფეროში 1100 კუბ. კმ ქვა, მტვერი და ფერფლი გააბნია.

ტამბორას ვულკანი

ვულკანური აქტივობის შკალის მიხედვით ყველა ამოფრქვევას უმაღლესი ინდექსი ჰქონდა. რაც შეეხება ტამბორას, ის ყველა ისტორიული წესების მიხედვით დოკუმენტირებული ყველაზე მძლავრი ვულკანური ამოფრქვევაა.

მართალია, ახლომახლო არავინ იყო, მაგრამ ევროპელებს, რომლებიც ვულკანიდან ასობით მილის დაშორებით იმყოფებოდნენ, ესმოდათ აფეთქებების ხმა, ამოფრქვევას რომ ახლავს. მალაიზიის ბრიტანული ნაწილის გუბერნატორმა თომას რაფლზმა, იმ ტერიტორიების ანექსია მოახდინა ჰოლანდიელებისგან, თავის აგენტებს დაავალა, ოპერატიულად შეეგროვებინათ მონაცემები, დოკუმენტურად დაედასტურებინათ თვითმხილველთა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩვენებები. ამის საფუძველზე იგი ადგენდა ანგარიშებს და ლონდონში აგზავნიდა. სწორედ ისინი წარმოადგენენ ისტორიკოსებისა და ვულკანოლოგებისთვის ტამბორას ამოფრქვევის შესახებ უტყუარ დოკუმენტებს.

რაჯას მონათხრობი

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ინფორმაციული იყო ერთ-ერთი სამთავროს, საუგარას რაჯას მონათხრობი, რომელსაც ლეიტენანტი ოუენ ფილიპსი ესაუბრა. თანამედროვე შეფასებებით, ამოფრქვევის დროს 72 ათასი ადამიანი დაუღუპა. ამ ციფრის სიზუსტეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან რაჯამ ყველა ქვეშევრდომი დაკარგა — ვინც ლავას გადაურჩა, ქვებისგან და ქარიშხლისგან დაიღუპა, ვინც ტალღებს დააღწია თავი, ფერფლისგან, წყურვილისგან, შიმშილისგან გარდაიცვალა. შიმშილს ემსხვერპლა რაჯას ერთ-ერთი ქალიშვილიც...

ლეიტენანტმა ფილიპსმა საკუთარი ხომალდით მიუტანა დაზარალებულებს წყალი და საკვები, რაჯამ კი უამბო, რომ გაღვიძებული ვულკანი ზუთი დღის განმავლობაში მხოლოდ გუგუნებდა, მერე გამაყრუებელი ხმა გაისმა, კრატერიდან ცეცხლის სამი სვეტი აიჭრა, შემდეგ ისინი გაერთიანდა და ზეცაში ავარდნილ კვამლში დაიკარგა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაჯა ქრისტომათიული ბირთვული სოკოს ფორმირებას ადევნებდა თვალს.

ვულკანი ამ დროს თითქოს ცეცხლში იყო გახვეული. ზეციდან ფერფლი და ტუფის ნატეხები ცვიოდა. ვულკანოლოგებისთვის ეს იმ ამოფრქვევის ტიპური სურათია რომელიც პლინიუს უმცროსმა აღწერა ჩვენი წ. აღ-ით 79 წელს. მაშინ ვულკანმა ვეზუვიმ პომპეუსი და ჰერკულანუმი გაანადგურა.

წელი ზაფხულის გარეშე

ვეზუვისგან განსხვავებით, ტამბორას ამოფრქვევა უფრო ძლიერი იყო. დედამიწის ისტორიის განმავლობაში ასეთი ამოფრქვევა სულ ექვსი იყო სანტორინის ვულკანის ჩათვლით, რამაც ჩვ. წ. აღ-მდე 1610 წელს ატლანტიდის დაღუპვის შესახებ ლეგენდას ჩაუყარა საფუძველი. ტამბორას ამოფრქვევა უკანასკნელი 10 ათასი წლის განმავლობაში ყველაზე მძლავრია — მზის რადიაციის ეკრანირებას გლობალური აცივება მოჰყვა. ფლეგრეის ველებზე 40 ათასი წლის წინათ მომხდარმა მეგაამოფრქვევამ „ვულკანური ზამთარი“ გამოიწვია, დედამიწაზე ჰაერის ტემპერატურა 5-10 გრადუსით დაეცა, რის გამოც ნეანდერტანელები გაწყდნენ, ხოლო ინდონეზიაში 1257 წელს ვულკან რინაჯანის ამოფრქვევამ შუა საუკუნეებში მცირე გამყინვარების პერიოდი გამოიწვია.

სინამდვილეში, რამ გამოიწვია ნეანდერტანელების განადგურება, არავინ იცის, ტამბორას ამოფრქვევის შემდეგ კი 1816 წელს, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე ზაფხული ნამდვილად არ ყოფილა. ივნისში თოვლი მოდიოდა, ზაფხულის დანარჩენ თვეებში კი წვიმიანი გრილი დღეები იდგა.

შვეიცარიაში მყოფი ბაირონმა დაწერა ლექსი „უკუნი“, სადაც დეტალურად აღწერა ბირთვული ზამთრის სურათი. ბაირონის თანამედროვე მეცნიერებისაც კი არ მოსვლიათ აზრად, რომ 1816 წელს ტამბორას ამოფრქვევასთან დაეკავშირებინათ ის ფაქტი, რომ ევროპასა და ამერიკაში ზაფხული არ ყოფილა. სულფატებისა და ვულკანური ტეფრის სტრატოსფეროში მიგრაციის თავისებურებების გამო ზაფხული არ დამდგარა მხოლოდ იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებიც დღეისათვის ნატოს წევრები არიან. თომას რაფლზის ანგარიშები ტამბორას ამოფრქვევასთან დაკავშირებით მხოლოდ 1830 წელს გამოქვეყნდა და ხელმისაწვდომი გახდა.

სუმბავაზე სიმშვიდეა

მოსაზრება მძლავრი ვულკანური ამოფრქვევების გლობალური შედეგების შესახებ მეცნიერებს შორის მხოლოდ კრაკატაუს ამოფრქვევის შემდეგ, 1883 წელს გაჩნდა. ის ტამბორას ვულკანზე ოთხჯერ სუსტი იყო, მაგრამ იმდენად ძლიერი, რომ მთელ პლანეტაზე წითელ-ალისფერი განთიადი გამოიწვია, სატელეგრაფო კავშირმა კი შესაძლებელი გახადა, მეცნიერებს დაენახათ და დაეფიქსირებინათ ვულკანური ტეფრით დედამიწის ატმოსფეროს გლობალური დაბინძურება. თუმცა მაშინაც არ შეიმჩნეოდა სამეცნიერო შრომებში კლიმატისა და ვულკანის ამოფრქვევას შორის პირდაპირი კავშირი.

სანტორინის ვულკანი

მხოლოდ 1913 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ ჰამფრისმა აცნობა კოლეგებს, რომ გლობალური კლიმატური ცვლილებები, რომლებსაც ისინი ყინულის მოტრენებსა და სხვა გეოლოგიურ წყაროებში პოულობენ, მძლავრი ვულკანური ამოფრქვევების შედეგად ატმოსფეროში გაბნეული მტვრით იყო გამოწვეული. მანვე გამოაქვეყნა ტემპერატურის ცვლილებების გრაფიკი 1880-1912 წლების მონაცემებით და ტემპერატურებს შორის სტატისტიკური გადახრები იმავე პერიოდში ვულკანების ამოფრქვევებს შეუფარდა. ტემპერატურის დაცემა ვულკანების მძლავრ ამოფრქვევებს მთლიანად ემთხვეოდა.

ჰამფრისი პირველი არ ყოფილა, ვინც ამაზე საუბრობდა. 1901 წელს შვეიცარიელი მეცნიერები, ძმები სარაზინები წერდნენ, რომ „გამყინვარების პერიოდები ვულკანური მტვრის მაღალი ღრუბლების მიერ მზის რადიაციის შთანთქმით იყო გამოწვეული“. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მეცნიერებამ 1816 წლის ტამბორას ამოფრქვევისა და ზაფხულის „გაქრობის“ ერთმანეთთან დაკავშირება და უილიამ ჰამფრისის თეორია დეტალებით შეივსო.

კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ვულკანური ტეფრის მაღალდისპერსიული ნაწილაკები სტრატოსფეროში რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება დარჩეს. სტრატოსფეროში მოხვედრილი ეს გოგირდოვანი აირი ქიმიურ და ფოტოქიმიურ რეაქციაში შედის ატმოსფეროს სხვადასხვა აიროვან და აეროზოლურ კომპონენტებთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება — გოგირდმჟავური და სულფატური შემადგებლობის ახალი აეროზოლური ნაწილაკები. სულფატებს სტრატოსფეროში გაბნეულ ვულკანურ მტვერზე უფრო ძლიერად შეუძლიათ მზის რადიაციის ეკრანირება. ვულკანების მტვერის ემანაცია კაჟის, სულფატების, კალციტების, ალუმინისა და რკინის შენაერთებისგან შედგება.

აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული დასკვნები. გლობალური დათმობის შეჩერება თუ არა, მისი შენელება მაინც არის შესაძლებელი, თუ დედამიწის პოლუსების რაიონებში სტრატოსფეროში გოგირდის დიოქსიდით გავაჯერებთ, რაც მთელ სტრატოსფეროში ცენტრიდანული ძალით გაიბნევა. მძლავრი ვულკანური ამოფრქვევების დროს სწორი იქნება ავიამიმოსვლის შეჩერება ვულკანების მახლობლად, როგორც ეს 2010 წელს ისლანდიაში ეიაფიადლაიეკიუდლის ამოფრქვევის დროს მოხდა, როდესაც დაახლოებით 20 ათასი ავიარეისი გადაიდო, რაც უსაფრთხოების მიზნით იყო განპირობებული.

რაც შეეხება ტამბორას, 2011 წელს მან კვლავ გამოღვიძება გადაწყვიტა. ინდონეზიის მთავრობამ ეს მეორე დონის ვულკანურ საფრთხედ გამოაცხადა, 2012 წელს — მესამე დონედ და სუმბავას მილიონიანი მოსახლეობის ევაკუაციის გეგმაც შეადგინა, მაგრამ ტამბორამ გადაიფიქრა ამოფრქვევა...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99